# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 27 იანვარი 2007 №17 (2940) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიჭი, დაიკო, ნიჭი!



AFP ვარშავიდან

აი, ამბავი: ოთხი თვის უვარჯიშებელმა ელენე გედევანიშვილმა ვარშავაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს, ანუ მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.

17 წლის ქართველმა მოციგურავემ გუშინ მშვენივრად ისრიალა და უკვე ვარსკვლავების, იტალიელი კაროლინა კოსტნერის და შვეიცარიელი სარა მაიერის შემდეგ ევრომოციგურავეთა ლიდერების მარაქაშია. გედევანიშვილის მესამე ადგილი მოულოდნელი იმიტომ იყო, რომ რუსეთიდან მისი მშობლების დეპორტაციის შემდეგ ელენემ მთელი შემოდგომა იუქმა და ნაახალწლევსღა განაახლა ვარჯიში...

— ვერ წარმოიდგენთ, რამდენი მოლოცვა მივიღეთ ელენეს გამოსვლიდან სულ რაღაც ხუთ-ათ წუთში. ყველა ჩვენ გვეხვეოდა — გვითხრა საქართველოს ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტმა *ირაკლი ჯაფარიძემ*, ვარშავაში რომ დავუკავშირდით.

— ჩემპიონატის დაწყებამდე გვითხარით, ათეულში მოხვედრა მაქსიმუმი იქნებაო — ახლაც ისე ფიქრობთ?

— არა, ელენემ თავის თავს აჯობა და თუ ისევ ასე ისრიალა, ათეული კი არა, სამეულიც გარანტირებული აქვს.

— ჩემპიონობა გამორიცხულია?

— სამწუხაროდ, ასეა. კაროლინა კოსტნერი და სარა მაიერი საუცხოო ფორმაში არიან. ჩემპიონიც ალბათ ერთი ამათგანი გახდება. ელენეს კი სამი თვე პრაქტიკულად გაუცდა და თუ მესამე ადგილს შეინარჩუნებს, ძალიან კარგი შედეგი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე ამის მჯერა... უნდა ნახოთ, რა დღეში არიან აქ რუსები — სამეულში ვერავინ გაიყვანეს და აღარ იციან, რა ჰქნან და რა თქვან.

ახლა კი თავად ელენე: „უზომოდ ბედნიერი ვარ. შემოდგომიდან მოყოლებული, ამ ჩემპიონატამდე მხოლოდ ოცი ვარჯიში მოვასწარი და არანაირ ტურნირზე არ გამოვსულვარ. თავიდან ათეულს ვუმიზნებდი, ახლა კი ისე ჩანს, რომ მესამე ადგილი უნდა შევინარჩუნო და ძალიან გთხოვთ, ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩემპიონობას ნუ მომთხოვთ“.

**ბაჩო სვანიძე**

# მშვენიერო, შვენი ერს!

## Русская мысль: Грузинка на льду. Лучше чем наши?!

**ევროპის ჩემპიონატი. მოკლე პროგრამა**

| | |
|---|---|
| 1 სარა მაიერი (შვეიცარია) | 60,49 |
| 2 კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 60,46 |
| 3 ელენე გედევანიშვილი (საქართველო) | 54,62 |
| 4 ჯულია სებეშტიენი (უნგრეთი) | 53,47 |
| 5 კირა კორპი (ფინეთი) | 53,84 |

## UEFA Congress 2007



AFP დიუსელდორფიდან

# მიშელ პლატინი: უეფას ახალი ტვინი

მიშელ პლატინი — იტალიური წარმოშობის ფრანგს, რომელიც 51 წელიწადია, ქვეყნად ამ სახელითა და გვარით დადის, აქამდე ვიცნობდით როგორც ოცი-ოცდაათი წლის წინანდელი ეპოქის დიდ საფეხბურთო ვარსკვლავს, ისტორიაში ერთადერთს, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიგო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელობა, როგორც ყოფილ მწვრთნელს, რომლის ხელშიც საფრანგეთის ნაკრებმა ზედიზედ წაუგებელ მატჩთა ერთ-ერთი წინა რეკორდი დაამყარა, როგორც წარმატებულ ორგანიზატორსა და საფეხბურთო პოლიტიკოსს, მაგრამ ეს მწვერვალი არ ყოფილა — გუშინ 27 ხმით 23-ის წინააღმდეგ პლატინი უეფას ახალ პრეზიდენტად აირჩიეს. პირველი, რაც ახალარჩეულმა პლატინიმ გააკეთა, გახლდათ ის, რომ თავისი წინამორბედი ლენარტ იუჰანსონი საპატიო პრეზიდენტად გამოაცხადა. ცნობილია, რომ მიშელ პლატინის ევროპულ ფეხბურთში რეფორმები აქვს ჩაფიქრებული. როგორც ჩანს, ასეთია ფრანგული ბუნება — ბებერ კონტინენტსა თუ მთელს პლანეტაზე ძალიან ბევრი სტრუქტურა თუ შეჯიბრება ხომ სწორედ ფრანგი ხელმძღვანელების მოგონილია, ასე რომ, ინებეთ, ფეხბურთი კვლავ მარსელიეზას მღერის.



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ადრევე თქვა, პირველები ვართ, ვინც მიშელ პლატინის ხმამაღლა დაუჭირა მხარიო და გუშინ ქართულ არჩევანს კიდევ 26-მა ფედერაცია-ასოციაციამ დაუჭირა მხარი — პლატინი უკვე ევროფეხბურთის გამგებელია... ნოდარ ახალკაცს, რა თქმა უნდა, გუშინდელი დღის მთავარ ამბებზე ვესაუბრეთ...

# პლატინიმ დაადასტურა: საქართველო პირველია

— ცხადია, მოხარულები ვართ, რომ უეფას საპრეზიდენტო არჩევნები ასეთი შედეგით დასრულდა. სასიამოვნოა, რომ უეფას ახალ პრეზიდენტს მეგობრები არ ავიწყდება და არჩევნების შემდეგვე დაადასტურა, პირველი ვიზიტი საქართველოში მექნებაო. ახლა ქართული ფეხბურთისთვის ახალი ერა იწყება, ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი იწერება და დარწმუნებული ვარ, დღეის შემდეგ ჩვენი ფეხბურთის პრესტიჟი კიდევ უფრო ამაღლდება. ძალიან სასიამოვნოა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევანმა გაამართლა და იმ კანდიდატმა გაიმარჯვა, ვისი მხარდაჭერაც ჩვენ პირველებმა დავაფიქსირეთ ხმამაღლა.

— **არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ დარბაზში რა ხდებოდა, რეაქცია როგორი იყო?**

— ჩვეულებრივი, ისეთი, როგორიც არის ხოლმე... გამარჯვებულის მხარდამჭერებმა ტაში შემოჰკარით, დანარჩენებს კი ლამის გული წაუვიდათ.

— **ადრე თქვით, 25 იანვარს პლატინის მხარდამჭერ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა წარმომადგენლებს თქვენი პოზიცია უშუალოდ უნდა დაგეფიქსირებინათ... ამ შეხვედრის თაოსანი და გამძღოლი კი თქვენ იყავით. შედეგიდან ჩანს, რომ ბევრი რამ სწორედ ამ ყრილობაზე გადაწყდა...**

— დიახ, ეს შეხვედრა შედგა. 27 ევროპული ფედერაციიდან არჩევნების წინა დღეს 24 შეიკრიბა, სამი ქვეყნის წარმომადგენლებმა კი წინასწარ გვაცნობეს ვერდასწრების თაობაზე. მართლაც ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ შეკრების ორგანიზატორი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იყო და შეხვედრასაც ჩვენი ფედერაცია უძღვებოდა. ჩვენ ერთმანეთთან უკვე საკმაოდ თბილი ურთიერთობა ჩამოგვეყალიბდა და შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ მალე თბილისშიც შევიკრიბებით.

— **იქნებ ჩამოგვითვალოთ, რომელი ქვეყნების დელეგაციები შეიძლება ჩამოვიდნენ აქ...**

— ყოფილი საბჭოთა კავშირის 11 ქვეყანა, რუმინეთი, საბერძნეთი, სლოვენია, ხორვატია, სერბეთი, ბულგარეთი, ბოსნია, თურქეთი, პოლონეთი, მაკედონია, ჩეხეთი, ალბანეთი, სლოვაკეთი, ისრაელი, ჩერნოგორია, უნგრეთი.

— **უეფას ახალ პრეზიდენტს არჩევნების შემდეგ თუ შეხვდით?**

— შევხვდი, ოღონდ სასაუბროდ დიდი დრო არ გვქონდა. გამარჯვება მივულოცეთ და წარმატება ვუსურვეთ.

— **როგორც ვიცით, აღმოსავლეთევროპელები უეფას აღმასკომში სასურველი კანდიდატების გაყვანასაც ცდილობდით. ეს ამბავი როგორ დამთავრდა?**

— უეფას აღმასკომში ორი წევრის გაყვანაც კი კარგი იქნებოდა, მაგრამ შევძელით და, ჩვენი ხმებით სამნი მოხვდნენ აღმასრულებელ კომიტეტში — უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი, მისი რუმინელი კოლეგა მირჩა სანდუ და თურქი შენეშ ერზიკი.

— **სხვათა შორის, მიშელ პლატინის წინასაარჩევნო შტაბში ერთ-ერთი აქტიური ფიგურა მერაბ ჟორდანია იყო, თქვენი წინამორბედი... მას ხომ არ შეხვედრიხართ?**

— არა, არც ამ კონგრესზე შევხვედრივარ, არც პარიზში, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისის გახსნისას და არც ამას წინათ მოსკოვში, ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე...

**კობა ინასარიძე**

# კლაუს ტოპმიოლერის თურქული რეცეპტი

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა სათურქეთო შემადგენლობა დაასახელა.

7 თებერვალს საქართველო ამხანაგურ მატჩში თურქეთს ეთამაშება და ჰერ კლაუსმაც საამმატჩოდ ოც ფეხბურთელს უხმო...

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), გიორგი ლომაია (უგუნდო), გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი);

**მცველები:** გიორგი შაშიაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), კახა კალაძე (მილანი, იტალია), დავით კვირკველია (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია);

**ნახევარმცველები:** ლადო ბურდული (კრივბასი, უკრაინა), ზურაბ მენთეშაშვილი (შინიკი, რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი (პანიონიოსი, საბერძნეთი), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), გოგიტა გოგუა (პ ართსი, შოტლანდია), დავით მუჯირი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი);

**თავდამსხმელები:** გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა), შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია), დავით სირაძე (აუე, გერმანია), მიხეილ აშვეთია (კარლ ცაისი, გერმანია).

შეგახსენებთ: საქართველო — თურქეთის ამხანაგური მატჩი 7 თებერვალს „ეროვნულზე" გაიმართება.

**ბახა შალამბერიძე**

# მინგეს B სია

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა რალფ მინგემ იმ ფეხბურთელთა სია გამოაცხადა, რომელთაც 7 თებერვალს თურქეთის B ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ათამაშებს.

მინგეს სიაში 23 ფეხბურთელია, ამათგან მხოლოდ შვიდია ლეგიონერი, დანარჩენები კი საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ.

**მეკარეები:** რევაზ თევდორაძე (დილა), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი მაკარიძე (დინამო);

**მცველები:** დავით მჭედლიშვილი (ამერი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო), მათე ღვინიანიძე (მიუნხენი), ზურაბ გვაძაბია (ამერი), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), აკაკი ხუბუტია (კაუნასი, ლიტვა), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ვალტერ ხორგუაშვილი (შერიფი, მოლდოვა);

**ნახევარმცველები:** ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), შოთა გრიგალაშვილი (დინამო), ბექა ჟღენტი (ტორპედო, რუსეთი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), გიორგი მერებაშვილი (დინამო), მირზა ბუალავა (ზესტაფონი), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), სანდრო კობახიძე (დინამო);

**თავდამსხმელები:** ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი), გიორგი ჭელიძე (ლოკომოტივი, რუსეთი).

შენიშნავდით, ეროვნული ნაკრების წევრები მათე ღვინიანიძე და ჯაბა კანკავა მინგეს სიაში მოხვდნენ, თუმცა ამის მიზეზიც ცნობილია: ეროვნული გუნდის თავკაც კლაუს ტოპმიოლერს სურს, თურქეთთან იმ მოდელით ითამაშოს, რომლითაც ევროშესარჩევ მატჩში 24 მარტს შოტლანდიას დაუპირისპირდება. კანკავას იმ მატჩში თამაშის უფლება არა აქვს — დისკვალიფიცირებულია, მათე კი ჯერაც ტრავმას იშუშებს.

გუნდი 5 თებერვალს შეიკრიბება და სასტუმრო „პრესტიჟში" დაბინავდება. მატჩი კი 7 თებერვალს „მიხეილ მესხის" სტადიონზე 13 საათზე დაიწყება.

**ბახა შალამბერიძე**

# უეფას პლატინა ჩაუდგეს

## პლატინი დახმარების და საზღვრების გაზრდას დაგვპირდა



უეფას გუშინდელმა კონგრესმა უეფას პრეზიდენტად ჩვენთვის სასურველი პრეზიდენტი აირჩია — მიშელ პლატინი. დიუსელდორფში გამართულ კონგრესს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან სამი წარმომადგენელი ესწრებოდა — პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენმდივანი უჩა უგულავა და ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე. საქართველოს დელეგაცია არ მალავდა, რომ ხმას პლატინის აძლევდა და ასეც მოხდა. კონგრესის დასრულების შემდეგ რევაზ არველაძეს დიუსელდორფში დავურეკეთ...

— **არჩევნები საკმაოდ დაძაბულად წარიმართა, ბოლო წუთამდე არავინ იცოდა, ვინ გაიმარჯვებდა. ასეთიც კი მოხდა — ორი ბიულეტენი შევსებისას გაფუჭდა და ბათილად ჩაითვალა.**

— **პლატინიმ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა ალბათ აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მიიღო...**

— მთლად ასეც არ იყო. რამდენადაც ვიცი, პლატინის მხარი ბრიტანულმა ასოციაციებმაც დაუჭირეს.

— **არჩევნებამდე თუ შეხვდით პლატინის?**

— მასთან კონტაქტი სულ გვქონდა, პლატინის არჩევნებამდე სადილზეც შევხვდით. არჩევნების შემდეგ კი მივულოცეთ გამარჯვება და დავშორდით.

— **როგორ ფიქრობთ, პლატინის პრეზიდენტობისას რა კურსით წარიმართება უეფას ფინანსური პროგრამები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის?**

— პლატინი საპროგრამო სიტყვით გამოვიდა და სხვათა გარდა ისიც თქვა, კარგია, რომ უეფა განვითარებად ქვეყნებს ეხმარება, მაგრამ ეს დახმარება ცოტაა და უნდა გაიზარდოსო.

— **ჩემპიონთა ლიგაში ჩვენნაირი ქვეყნების კლუბების მოხვედრის შანსზე პლატინის არაფერი უთქვამს?**

— პლატინის ამაზე ვრცლად და კონკრეტულად არ უსაუბრია, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ეს თემა მის საარჩევნო პროგრამაში იყო. საპროგრამო სიტყვით ლენარტ იუჰანსონიც გამოვიდა და შეგვახსენა, რომ ჩემპიონთა ლიგა მისი პრეზიდენტობისას შეიქმნა და ამ პროექტმა უეფას შემოსავლები მკვეთრად გაზარდა. პლატინიმ კი განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგაში საზღვრები უნდა გაფართოვდეს. პლატინის ისიც სურს, რომ უეფას სტაფში რაც შეიძლება ბევრი ქვეყანა იყოს წარმოდგენილი. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კი პლატინიმ კონგრესს შესთავაზა, იუჰანსონი უეფას საპატიო პრეზიდენტად ავირჩიოთო და მხარი ყველამ ერთხმად დაუჭირა.

— **ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გუნდების შესაძლო გაზრდაზე თუ იყო საუბარი?**

— კონგრესზე ეს საკითხიც განიხილეს და შეიძლება ითქვას, იდეა მიღებულია — ამ პროექტზე უეფა უკვე მიზანმიმართულად იმუშავებს.

— **პლატინის საარჩევნო კამპანიაში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია იყო — მას ხომ არ შეხვედრიხართ?**

— არა, ჟორდანია აქ არ გვინახავს.

**დავით თაყართქილაძე**





# ფიზიკა და ფსიქიკა

## ოლიმპმა სიმურგთან ბირთვი გასინჯა

**გუშინ** „ოლიმპის“ საფეხბურთო აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი რუსთავის „ოლიმპი“ აზერბაიჯანის ცამეტგუნდა ჩემპიონატში მე-10 ადგილზე მყოფ „სიმურგს“ გაეჯიბრა და შეხვედრა ფრედ დასრულა — 1:1.

შემოდგომის ჩემპიონი „ოლიმპი“ სეზონის მეორე ეტაპს უცხოური შეკრების გაუვლელად შეხვდება და საკონტროლო მატჩებსაც საქართველოში ატარებს. „ოლიმპს“ ჯერ რიგიანი ეკიპირებაც არა აქვს — გუნდი ერთიან ფორმაში არ არის გამოწყობილი, თუმც ოლიმპელებმა თავიანთი საქმისა უკეთ იციან...

რუსთაველთა მეტოქე საკმაოდ გამართული გუნდი გამოდგა, უკრაინელი მწვრთნელ-ფეხბურთელებით მოლონიერებული.

„სიმურგი“ ისე იბრძოდა, თითქოს ეს მათთვის საკონტროლო მატჩი არ იყო — ერთ-ერთი აზერბაიჯანელი დავით ხარიტონაშვილმა გააძევა კიდეც. თუმცა, რადგან მატჩი ოფიციალური არ იყო, გაგდებული შეცვალეს — „სიმურგი“ კაცნაკლული არ დარჩენილა.

„ოლიმპის“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: *მერლანი — ბერუაშვილი, მაჩვილაძე, ხუბუა — სეთურიძე, არზიანი, ჩხარტიშვილი, ქებაძე, აფციაური — დვალიშვილი, რ. გოცირიძე.*

მოკლედ, ოლიმპელთა დამრიგებელმა რევაზ ძოძუაშვილმა 3-5-2 სქემა აირჩია და უნდა ვივარაუდოთ, რომ სეზონის მეორე ეტაპზეც მეტწილად ასეთ განლაგებას გამოიყენებს.

შეცვლაზე ძოძუაშვილმა მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეუშვა — გიორგი კახელიშვილი ხან რევაზ გოცირიძეს ცვლიდა, ხან ზურაბ არზიანს.

ორივე გუნდმა სახიფათო მომენტები მწირად შექმნა. ტაიმის ბოლოს კი „სიმურგი“ უკეთ ათამაშდა და დაწინაურდა კიდეც.

შესვენების შემდეგ „ოლიმპმა“ შეუტია მწვავედ და გათანაბრების ჩინებული შანსიც მიეცა — ვლადიმერ დვალიშვილმა თავისივე მონაგრებული 11-მეტრიანი ისე დაარტყა, რომ „სიმურგის“ მეკარემ იოლად მოიგერია.

აზერბაიჯანელები ჯანით ალემატებოდნენ „ოლიმპს“, ალბათ, იმიტომ, რომ ნაკლები დატვირთვების ფონზე ატარებდნენ ამ მატჩს. ისიცაა, რომ „სიმურგს“ 3-4 ისეთი ზორბა ფეხბურთელი ჰყავდა, ნებისმიერ ძალისმიერ სპორტში გაიტანდა თავს.

ბურთის გაგორება, „კედელი“, ერთი-ორი მოხდენილი ფინტი — „ოლიმპის“ უპირატესობა ეს იყო, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ჩვენებურებს თითქოს მუხლებში ძალა აღარ ჰყოფნიდათ.

„ოლიმპმა“ ანგარიში ბოლო წუთებზე გაათანაბრა— მარჯვნიდან გიორგი სეთურიძემ ჩააწოდა კარის გასწვრივ და რევაზ გოცირიძემ ვარდნაში, დასწრებაზე ჩინებულად ითამაშა — 1:1.

მატჩის შემდეგ *რევაზ ძოძუაშვილს* რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

— დღეს მხოლოდ 12 ფეხბურთელი ათამაშეთ — რატომ?

— ეს საერთაშორისო მატჩი იყო და მინდოდა უშუალოდ იმ ფეხბურთელებს ეთამაშათ, რომლებიც გუნდის ბირთვის წარმოადგენენ — საქართველოში ახლა ასეთ მეტოქეს ალბათ ვერ გამოვძებნიდით. მოკლედ, ამ ფეხბურთელების პოტენციალის შემოწმება კიდევ ერთხელ მინდოდა.

— „ოლიმპს“ დაუბრუნდნენ ის ფეხბურთელები, „სიონს“ რომ ჰყავდა წაყვანილი „თანამეგობრობის თასზე“. ისინი დღეს ზოგიერთ სხვა თანაგუნდელზე უფრო მხნედ გამოიყურებოდნენ...

— საქმე ისაა, რომ „ოლიმპის“ ფეხბურთელები დიდი დატვირთვების ფონზე თამაშობდნენ, გუშინ სამსაათიანი ვარჯიშიც კი გვქონდა. საინტერესო იყო იმ ფეხბურთელების გამოცდაც, მოსკოვიდან აქ ჩამოსვლით რომ გაწვალდნენ. ფიზიკა, ტაქტიკა და ფსიქიკა — დღევანდელ შეხვედრაში ყველაზე უფრო ამ სამ ფაქტორს ვაქცევდი ყურადღებას.

— ზურაბ მენთეშაშვილის „ოლიმპში“ თამაშის შესაძლებლობა საბოლოოდ გამოირიცხა?

— მენთეშაშვილი ახლა რუსეთშია და რომელიმე გუნდში ცდილობს მოეწყოს. ჯერ კიდევ შესაძლებელია მისი იჯარით აყვანა...

**დავით თავართქილაძე**

# მსაჯთა შეკრება ტესტებამდე

**საქართველოს** მე-18 ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისა და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების მატჩებისთვის მზადებას განაგრძობენ მსაჯები. ამ ეტაპზე ისინი ინდივიდუალურად ვარჯიშობენ და ამხანაგურ თამაშებს მსაჯობენ.

8-18 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ სეზონისწინა შეკრება მოეწყობა, რომელსაც 50 მსაჯი გაივლის — ისინი მოემზადებიან ფიზიკურად და თეორიულად, გაეცნობიან ყველა იმ სიახლეს, რომელიც ფიფას და უეფას მიერ არის რეკომენდირებული.

შეკრების დაწყებამდე მსაჯები გაივლიან სამედიცინო შემოწმებას, ხოლო 16-17 თებერვალს ფიფას ახალ ნორმატივებს და თეორიულ ტესტებს ჩააბარებენ.

20-21 თებერვალს კი სფფ-ის საკონფერენციო დარბაზში მსაჯთა დამკვირვებლებისთვის თეორიული სემინარები გაიმართება.

*სფფ-ის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება*

# გიორგი კახელიშვილი: თანამეგობრობა ჩავაგდე



19 წლის **გიორგი კახელიშვილი** ბოლნისის „სიონს“ ახლდა „თანამეგობრობის თასზე“, სადაც ქვემოქართლელებს ერთი ბურთი დააკლდათ ჯგუფიდან გასასვლელად. კახელიშვილი რუსთავის „ოლიმპის“ ფეხბურთელია, თუმცა ამჯერად მოსკოვურ შთაბეჭდილებებზე სასაუბროდ რომ დავუკავშირდით, გვითხრა, სერბულ ოფკ-სთან ბოლო წუთზე რომ არ გაგვეშვა ბურთი, ფინალშიც გავიდოდითო...

— პირადად შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— არა. არაფერი მაწუხებდა, თითქოს ფორმაშიც ვიყავი, მაგრამ რაღაცნაირად არ გამომდიოდა თამაში. რას დავაბრალო, არ ვიცი...

— „სიონი“ ბურთების უარესი შეფარდებით ჩარჩა ჯგუფში, მეოთხედფინალში რომ გასულიყავით, როგორ გგონია, სადამდე მიაღწევდით?

— ჩემი აზრით, ფინალამდე მივიდოდით და ეგებ, ჩემპიონებიც გავმხდარიყავით. ჩვენი ჯგუფი ყველაზე ძლიერი იყო.

— პირველ ტურში ლიტვურ „კაუნასთან“ წაგების შემდეგ „სიონი“ მოსკოვიდან წამოსვლასაც კი აპირებდა ცუდი მსაჯობის გამო...

— მართლაც საშინლად გვიმსაჯეს. გიორგი ონიანი საჰაერო ორთაბრძოლისას შეეჯახა მეტოქეს და წითელი ბარათი აჩვენეს, მერე იყო და, რვა წუთი დაამატეს თამაშს. მსაჯმა აშკარად დაგვჩაგრა — პატარა ბავშვიც კი მიხვდებოდა მის არაობიექტურობას.

— რომელიმე უცხოური გუნდი ხომ არ დაინტერესებულა შენით?

— არა, ვინ უნდა დაინტერესებულიყო, როცა ნორმალურადაც ვერ ვითამაშე. მე ყოველთვის თვითკრიტიკული ვარ.

— ადრე ითქვა, კახელიშვილის შეძენა აზერბაიჯანულ „ხაზარს“ სურსო...

— იყო ამაზე ლაპარაკი, „ხაზარმა“ მართლაც გამოთქვა სურვილი, თუმცა მას შემდეგ არავინ შემხმიანებია...

**ილია ნანობაშვილი**

# ვიტ ჯორჯიას მოყვარულები არ ჰყვარებია

**ანთალიაში** წასვლამდე „ვიტ ჯორჯია“ თბილისში ემზადება და გუშინ „სინათლის“ სტადიონზე საქართველოს მოყვარულთა ნაკრებს ამხანაგურ მატჩში გოლებით დააწვიმა. ვიტელებმა 6:0 მოიგეს, გიორგი ბერიაშვილმა კი ჰეთ თრიქი გაიფორმა: მან მე-8, 35-ე და 54-ე წუთებზე იხეირა. დანარჩენი გოლები გიორგი მელქაძემ (40), ზაზა სახოკიამ (58) და ირაკლი კლიმიაშვილმა (83) გაიტანეს.

ნესტორ მუმლაძემ მოყვარულებთან ეს შემადგენლობა ათამაშა: *ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ადამაძე, თ. კობიაშვილი, გველესიანი, გ. დათუნაიშვილი (უშარაული 53), იმერლიშვილი, ინჯგია, ბერიაშვილი, გ. მელქაძე (კლიმიაშვილი 53), სახოკია.*



ნესტორ მუმლაძე

როგორც ხედავთ, ვიტელებს რამდენიმე ლიდერი აკლდათ, თუმც ისინი დღეს ითამაშებენ კიდევ ერთ ტესტ-მატჩში — ვიტელები იმავ „სინათლეზე“ „ნორჩ დინამოელს“ შეხვდებიან.

„მწვანეებს“ სამი ახალი ფეხბურთელი ჰყავთ: ზაქრო ბიძინაშვილი და რატი იმერლიშვილი თელავის „კახეთიდან“ გადაიყვანეს, ირაკლი კიკნაძე კი „ბორჯომიდან“. რა თქმა უნდა, ისინი სრულფასოვნად ვერ შეცვლიან დავით დიღმელაშვილსა და გიორგი ფეიქრიშვილს, თუმცა „ვიტ ჯორჯიასთვის“ ხომ ლიდერთა გამოკლება ნაცნობი პროცესია.

შეგახსენებთ, ვიტელები 1 თებერვალს გაემგზავრებიან ანთალიურ შეკრებაზე.

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონი თურქეთს მოეფინა
## გიორგი თურმანიძე უცხოეთის გზაზე



**თემურ მახარაძის** „ზესტაფონი" გუშინ თურქეთის გზას დაადგა, სადაც ორკვირიან შეკრებას მოიწყობს. გუნდი ანთალიიდან 40 კილომეტრის მოშორებით მდებარე ბელეკში დაბინავდა.

ფეროლელები ხუთ ტესტ-მატჩს გამართავენ უკრაინულ, რუსულ, კორეულ და ყაზახურ გუნდებთან.

იმერელთა „თურქული" შემადგენლობა ასეთია:

***მეკარეები:*** *გრიგოლ ჭანტურია, როინ კვასხვაძე, ნიკოლოზ ჯალაღონია;*

***მცველები:*** *ედიკ საჯაია, შალვა ლონლაძე, სევასტი თოდუა, კახა ჩხეტიანი, როინ ონიანი, ედსონ სანტოსი, გიორგი ხიდეშელი, გიორგი ხუმარაშვილი;*

***ნახევარმცველები:*** *გიორგი ჭელიძე, ბექა ნოზაძე, დიმიტრი პარამონოვი, ვიეირა, მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, ნიკა კვასხვაძე, თორნიკე გორგიაშვილი, ტორესი;*

***თავდამსხმელები:*** *გოგი ფიფია, ზურაბ იონანიძე, დავით ჯანელიძე, ლეანდრო.*

და სადაა კაპიტანი გიორგი თურმანიძე? ბოლო წლებში „ზესტაფონის" წამყვანი ნახევარმცველის სიაში არყოფნა თვალში მოგვხვდა და ვითარებაში თავად თურმანიძემ გაგვარკვია:

— 1 თებერვალს ისედაც მიმთავრდებოდა კონტრაქტი და ხელშეკრულების გაგრძელება აღარ ვისურვე.

— **კონფლიქტი ხომ არ მოგივიდა გუნდში?**

— არა, პირიქით, ლამაზად დავშორდი ყველას. გინდ თემურ მახარაძის, გინდ ილია კოკაიას მიმართ სასაყვედურო არაფერი მქონია. უბრალოდ, მინდა, კარიერა სხვა გუნდში გავაგრძელო.

— **უცხოეთში?**

— კი, უცხოური გუნდებია, ორი ვარიანტია და ჯერ არ ვიცი, სად წავალ. გუნდებს ამ ეტაპზე ვერ დავასახელებ, თვის ბოლომდე გაირკვევა ყველაფერი.

— **„ზესტაფონში" გატარებული წლები შენს კარიერაში საუკეთესო იყო?**

— ალბათ კი. ეგაა, ბოლოს ტრავმებმა გამაწვალა და ბევრი თამაში გამოვტოვე, თორემ შარშანწინდელი და იმის წინა სეზონი კარგი გამომივიდა.

**ილია ნანობაშვილი**

# დინამომ 24 წაიყვანა

**თბილისის** „დინამო" წუხელ ანთალიაში ორკვირიან შეკრებაზე გაემგზავრა. თბილისელები იქ ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავენ და შინ 10 თებერვალს დაბრუნდებიან.

„დინამოს" მწვრთნელმა დუშან უჰრინმა ეს 24 ფეხბურთელი წაიყვანა:

***მეკარეები:*** *სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე;*

***მცველები:*** *შოთა კაშია, გურამ კაშია, მილოშ კრშკო, ნედ ზელიჩი, გულვერდ თომაშვილი, ლევან აკობია, ირაკლი ჩირიკაშვილი, რომან გარკუშა;*

***ნახევარმცველები:*** *დავით დიღმელაშვილი, ლაშა ნოზაძე, გიორგი ფეიქრიშვილი, გიორგი მერებაშვილი, მიხეილ ხუციშვილი, დავით [illegible] [illegible]მირ ჯანაშია, სანდრო კობახიძე, ლევან ხმალაძე;*

***თავდამსხმელები:*** *სანდრო იაშვილი, მათე ვაწაძე, ირაკლი სირბილაძე, ჯაბა დვალი*

მოსალოდნელია, რომ თბილისელებს ანთალიაში რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ „დინამო" ანთალიაში უკრაინულ „ილიჩევეცს", „ვორსკლას", „კარპატის", უზბეკურ „მაშავისა" და სამხრეთკორეულ „პიონგს" შეხვდება.

**კობა ინასარიძე**

# ჩიხურას ბედი ჰაერში ჰკიდია
## საჩხერის ადგილი ზუგდიდმა იუარა

**იარსებებს** თუ არა საჩხერის „ჩიხურა"? კლუბი, რომელზეც ამბობდნენ, მეორე წრეში საგრძნობლად გაძლიერდება და ფინანსურად არა ერთს დაუყენებს თვალსო, დღემდე გაურკვევლობაშია. რაც პირველი წრე დასრულდა, გვესმის, სპონსორთან დალაპარაკების შემდეგ გადაწყდება, რა სახსრები გვექნებაო, მაგრამ...

„ჩიხურას" უფროსი ბადრი ბრეგვაძე: „გეცოდინებათ, გუნდი არც შეკრებილა და არც უვარჯიშია. ეს კი არა, ამ ეტაპზე „ჩიხურა", როგორც კლუბი, ჰაერშია გამოკიდებული. ამ დღეებში სპონსორს შევხვდებით და ეგებ, სასიკეთოდ გადაწყდეს დაფინანსების საკითხი."

ბრეგვაძეს იმაზეც ვკითხეთ, შესაძლოა, „ჩიხურას" ადგილი პირველი ლიგის ლიდერმა, ზუგდიდის „მგლებმა" იყიდოსო...

„ასეთი ვერსია ახლაც არის, მაგრამ მე ჩავედი ზუგდიდში და „მგლების" ხელმძღვანელობამ ასეთი რამ იუარა, ჩვენ თავად გადავალთ უმაღლესშიო. მოკლედ, გაურკვევლობაში ვართ" — გვითხრა ბრეგვაძემ.

**ლუკა თალაკვაძე**

# ალადაშვილი უქმობამ დაღალა



არა და არ აეწყო კახა ალადაშვილის კარიერა კიევის „დინამოში". ქართველმა ფეხბურთელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ერთხანს დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" იყო განათხოვრებული. საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ ალადაშვილი „დინამოში" დაბრუნდა, ოღონდ ტრანსფერზე დააყენეს. სად და როდის გადავა ალადაშვილი — ამის გასაგებად გუშინ კიევში შევეხმიანეთ...

— აქ გაჩერება აღარ მინდა, დამღალა ამდენმა უთამაშებლობამ...

— **შემოთავაზებები გაქვს?**

— არის რამდენიმე ვარიანტი, თუმცა ასპროცენტიანი, ჯერჯერობით, არც ერთია და ამიტომ ვიკავებ თავს.

— **ისევ უკრაინული გუნდებიდან?**

— არის უკრაინული ვარიანტებიც, მაგრამ უფრო რუსული კლუბები აქტიურობენ.

— **კონკრეტულად?**

— მოდით, ჯერ თავს შევიკავებ გუნდების დასახელებისგან — წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. თებერვლის დასაწყისისთვის ყველაფერი გაირკვევა.

— **უთამაშებლობის გამო ფორმიდან ამოვარდებოდი...**

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ კარგ ფორმაში ვარ. ახლა მაკაროვის თასის გათამაშებაა და ფორმის შესანარჩუნებლად ამ ტურნირზე ვთამაშობ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფან-კლუბის ფან-გეგმები

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების ფან-კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გიორგი ხაჩიძემ ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა...

„ფან-კლუბის წევრებს თურქეთის ნაკრებთან თამაშისთვის უფასოდ დაურიგდებათ მატჩზე დასასწრები ბილეთები და ატრიბუტიკა. 7 თებერვლის თამაშიდან მოყოლებული, სისტემატურად იქნება გამოყოფილი ცალკე სექტორი, სადაც მხოლოდ ფან-კლუბის წევრები განთავსდებიან" — გვითხრა ხაჩიძემ.

ხაჩიძემ ისიც განაცხადა, მალე ფან-კლუბის წევრებს შორის ტურნირი გაიმართება და იმ პრიზის საიდუმლო გაამხილა, რომლითაც გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება...

„1 მარტიდან თბილისსა და ბათუმში ჩატარდება ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც მხოლოდ ფან-კლუბის წევრები მიიღებენ მონაწილეობას. ამ ქალაქებში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს სუპერფინალში შეხვდებიან და მოგებული უფასოდ გაემგზავრება ლიტვაში საქართველოს ნაკრებთან ერთად ევრო 2008-ის შესარჩევ შეხვედრაზე დასასწრებად. გვაქვს კიდევ ერთი იდეა, თუ ტურნირი შოტლანდიის ნაკრებთან თამაშამდე დამთავრდა, ბრიტანეთში ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელს, ან ბომბარდირს გავგზავნით."

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# უკრაინას იმედაშვილის გზა და კვალი აერია

**თითქოს** გადაწყვეტილი იყო, რომ ანატოლი დემიანენკო ქართველ ფეხბურთელ დავით იმედაშვილს პირველი არხის თასის გათამაშებაზე მაინც წაიყვანდა ისრაელში, მაგრამ... კიევში დატოვა.

ახლა იმედაშვილი კახა ალადაშვილთან ერთად, მაკაროვის თასის გათამაშებაზე „დინამო 4-ის" შემადგენლობაში გამოდის, რომელმაც ნახევარფინალში „ანტარესი" 2:1 დაამარცხა და ფინალში „დინამო 2-ს" შეხვდება.

ნახევარფინალური შეხვედრა ორივე ქართველმა სრულად ჩაატარა.

კიეველთა მესამე ქართველი ოთარ მარცვალაძე კი ჯერ სარეაბილიტაციო კურსს გადის და ექიმები ბურთთან შეხებას ჯერჯერობით უკრძალავენ.

შეგახსენებთ, რომ ამავე ტურნირში მონაწილეობდა „გაგრა", მაგრამ ჯგუფიდან ვერ გავიდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მუჯირი დარბაზში



**სამთვიანი** იძულებითი უქმობის შემდეგ ბურთთან მცირე ხნით ივარჯიშა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა დავით მუჯირმა, მაგრამ, როგორც უკვე გაუწყეთ, მან ერთ ვარჯიშზე კვლავ მცირე ტრავმა მიიღო.

მუჯი ჯერჯერობით ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს და, ექიმების რჩევით, მხოლოდ ტრენაჟორებით იტვირთება.

**2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი**
**ჩვენი მეტოქე**

# სქოთების ახალი თავი



**„გლაზგო რეინჯერსის"** ყოფილი თავკაცი ალექს მაკლიში შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის ნაკრების გაწვრთნაზე დათანხმდა. .

უოლტერ სმიტის წასვლის მერე ასოციაციამ რამდენიმე კანდიდატთან დაიწყო მოლაპარაკება, თუმცა მაკლიში თავიდანვე ფავორიტად ითვლებოდა და საბოლოოდ ასეც მოხდა — სქოთური ფეხბურთის მამები მომავალ კვირაში ოფიციალურად წარადგენენ მაკლიშს.

შეგახსენებთ, რომ ევროშესარჩევი ციკლის მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები სწორედ შოტლანდიასთან გამართავს — 24 მარტს გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე".

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხომ ხედავთ, არ დავრბივარ!

## ლენარტის კონცერტი დასრულდა, პლატინის მუსიკა იწყება




**ამრიგად,** უეფას 31-ე კონგრესზე, მისი 52 წევრი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელებმა, ორგანიზაციის ახალ პრეზიდენტად 51 წლის ფრანგი მიშელ პლატინი აირჩიეს. პლატინიმ 27 ხმა მიიღო, მისმა კონკურენტმა, შვედმა ლენარტ იუჰანსონმა 23, ორი ხმა კი ბათილი აღმოჩნდა. და პირველი, რაც ახალმა პრეზიდენტმა გააკეთა, წინამორბედის უეფას საპატიო პრეზიდენტად გამოცხადება გახლდათ — ხუმრობა ხომ არ არის, ლენარტ იუჰანსონი ევროპული ფეხბურთს 17 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

„სულით ხორცამდე შეძრული ვარ, მაგრამ იმავდროულად თავს ბედნიერად ვგრძნობ. ფეხბურთელობისას ჯილდოს რომ მოვიგებდით, ერთად ვზეიმობდით, მოედნის გარშემო დავრბოდით პრიზით ხელში, მოედანს საპატიო წრეს ვუვლიდით. მე დღესაც დიდი წარმატება მოვიპოვე, მაგრამ როგორც ხედავთ, არ დავრბივარ. დღეს მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია, დიდი თავგადასავლის დასაწყისი. მიხარია, რომ ამიერიდან ევროპულ ფეხბურთს წარმოვადგენ. მართალია, არჩევნებში ხმები 27:23-ზე განაწილდა, მაგრამ ის, რაც დღეს მოხდა 52, ან იქნებ 53 წევრის გამარჯვებაა“.

და ბოლოს, პლატინიმ იუჰანსონს მიმართა: „ლენარტ, დღეს თქვენი გამარჯვების დღეც არის და ჩვენ ამიერიდან ხელიხელ ჩაკიდებულნი გავაგრძელებთ გზას“.

ამის შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა პატივი მიაგო იუჰანსონის წინამორბედს, ფრანგ ჟაკ ჟორჟს, რომელსაც, თურმე, ყოველთვის მისი გაპრეზიდენტება სურდა და ყრილობის წევრებს წუთიერი დუმილით სთხოვა მისი მოგონება. და რა თქმა უნდა, მადლობა მეუღლეს, მშობლებს და ყველას, ვინც ეხმარებოდა.

მათთვის ვისაც ცუდი მეხსიერება აქვს: მიშელ პლატინი გახლავთ ევროპული ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთი ვარსკვლავი, რომელიც ზედიზედ სამჯერ, 1983, 1984 და 1985 წლებში აირჩიეს „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“ ლაურეატად. 1955 წლის 21 ივნისს დაბადებული პლატინი თავდაპირველად „ნანსი-ლორეანში“ გამოდიოდა, საიდანაც 1979 წელს „სენტ ეტიენში“ გადავიდა, ხოლო „სენტ ეტიენიდან“ 1982 წელს „იუვენტუსში“ მივიდა, სადაც 1987 წლამდე დაჰყო და ყველაზე დიდ საკლუბო წარმატებებსაც ტურინის გუნდთან ერთად მიაღწია. კერძოდ, 1984 წელს „იუვენტუსმა“ თასების მფლობელთა თასი მოიგო, 1985 წელს კი ჩემპიონთა თასი. 1983, 1984 და 1985 წლებში მიშელ პლატინი სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ, არადა, ფუნქციით გამთამაშებელი იყო და არა თავდამსხმელი.

სანაკრებო დონეზე ყველაზე დიდ წარმატებას უეფას ახალმა პრეზიდენტმა 1984 წელს მიაღწია, როდესაც საფრანგეთის ნაკრებმა საფრანგეთშივე გამართულ ევროპის ჩემპიონატში გაიმარჯვა. პლატინი უნიკალური შედეგით, 9 გოლით ამ შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სულ მიშელ პლატინიმ სამფეროვანთა შემადგენლობაში 1976-1987 წლებში 72 შეხვედრა ჩაატარა, რომელთაგან 49-ში კაპიტანი იყო და 41 გოლი გაიტანა. 1982 და 1986 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებში საფრანგეთის ნაკრები ოთხეულში, მეოთხე და მესამე ადგილებზე გავიდა.

ფეხბურთელობის შემდეგ მიშელ პლატინი საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი გახდა და ამ თანამდებობაზე 1988-1992 წლებში იმუშავა, შემდეგ კი ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ საქმეებზე გადაერთო. იგი გახლდათ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, მუშაობდა ფიფასა და უეფას აღმასკომებში, იყო ფიფას ტექნიკური განვითარების კომიტეტის შეფი და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

**პაპუნა ქედია**

# ბონდი სამი მუშკეტერით




**31 წლის** ბიზნესმენმა ტომაზო გირარდიმ „პარმა“ იყიდა და განაცხადა, რომ შენაძენით მეტად კმაყოფილია. როგორც ამბობენ ახალმა პატრონმა კლუბში 31 მილიონ 870 ათასი ევრო გადაიხადა.

„მე ემოციური კაცი ვარ დაახლავე მინდა განვაცხადო, რომ „პარმაში“ სპორტული შედეგებისთვის მოვედი. იმისათვის, რომ გუნდმა კარგი ფეხბურთი ითამაშოს, ჩვენ ყველა პირობები გვაქვს. ახლა სამომავლოდ ფინანსურ გეგმებსაც შევადგენთ და ამ ფინანსებით სპორტული წარმატებების მიღწევას შევეცდებით. მე ქვედა ლიგებში მუშაობის გამოცდილება მაქვს და მინდა, სერია A-ში იქაური დადებითი ასპექტები შემოვიტანო“.

საინტერესოა, რომ როგორც ირკვევა, ტომაზო გირარდისთვის „პარმას“ ყიდვა „ფიორენტინას“ მწვრთნელს ჩეზარე პრანდელის ურჩევია. ბიზნესმენი ქვედა სერიაში მოთამაშე „კარპენედოლოს“ მეპატრონეც გახლავთ.

ასე და ამგვარად, გუნდი, რომელსაც „პარმალატის“ გაკოტრების შემდეგ ფაქტობრივად პატრონი აღარ ჰყოლია და ბოლო წლებში წვალობდა, ახალ მფლობელს ჩაბარდა. როგორც მისმა აწ უკვე ყოფილმა ადმინისტრატორმა ენრიკო ბონდიმ განაცხადა, ამიერიდან „პარმა“ სამი მუშკეტრის ხელშია. ვინ არიან მუშკეტერები? უპირველეს ყოვლისა ახალი შეფი გირარდი, შემდეგ, ყოფილი მრბოლი, რალის ოსტატი ანჯელო მედეგინი, რომელიც კლუბის ვიცე პრეზიდენტი იქნება და ალბერტო გუარესკი, საპატიო პრეზიდენტი, „ბანკა დელ მონტეს“ ხელმძღვანელი.

ცნობილი გახდა, რომ გირარდი უკვე შეხვდა პარმელთა მწვრთნელს სტეფანო პიოლის, ფეხბურთელებს და სპორტულ დირექტორ სტეფანო ძამპანას.

სადღეისოდ „პარმა“ სერია A-დან გავარდნის საშიშროების წინაშე დგას და ამ უქმეებზე „სან სიროზე“ „მილანს“ ხვდება.

**პაპუნა ქედია**



**რონალდომ** თქვა, რომ ცალი ფეხით უკვე „მილანის“ ფეხბურთელია, მადრიდის „რეალს“ ჯოჯოხეთი, ხოლო ფაბიო კაპელოს კოშმარი უწოდა. ბრაზილიელი გახარებულია, რადგან „სამეფო კლუბში“ მისი ტანჯვა დასასრულს მიუახლოვდა. „მიხარია, იტალიაში რომ ვარ, თუმც ჯერ კვლავ „რეალის“ ფეხბურთელად ვრჩები — განაცხადა „ფენომენმა“ — ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად აეწყობა. მადრიდი ჯოჯოხეთად მექცა, კაპელოსთან მუშაობა კი კოშმარი იყო“.

რონალდო გუშინ აპინო ჯენტილეს კლინიკაში „მილანის“ ექიმმა

# ჯოჯოხეთი და კოშმარი

ჟან-პიერ მეერსმანმა „დაათვალიერა“, შემდეგ კი „კიჭა“ მილანელის ბაზაზე ესტუმრა. „როგორ ჩაიარა ტესტმა? ძალიან კარგად — ბრძანა შემოწმებულმა ფეხბურთელმა — სასიამოვნოა მილანში დაბრუნება, ჯერ ყველაფერი არ მოგვარებულა, მაგრამ მსურს, რომ მალე მოვირგო „შავ-წითელი“ მაისურა.“

რონალდოს უხარია, მაგრამ „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის ეგებ ძალიანაც არ ესიამოვნა, რომ ფეხბურთელი, რომელიც შვილივით გამოზარდა (თვითონ ასე თქვა), თანაქალაქელ მეტოქე გუნდში გადადის. შეგახსენებთ იმასაც, რომ რონალდო „ინტერის“ ერთ-ერთი მეწილეა და თავისთავად არაჩვეულებრივი ამბავია, „შავ-ლურჯების“ მეწილე „მილანის“ ფეხბურთელი გახდება. „მორატიზე ახლა ვერაფერს ვიტყვი, მოვა დრო და ამ საქმეზე პირისპირ ვილაპარაკებთ“ — ბრძანა ბრაზილიელმა.

ადრიანო გალიანიმ კი განაცხადა, რომ სამედიცინო შემოწმების დასრულების შემდეგ მადრიდში ჩავა და საბოლოოდ მოაგვარებს ტრანსფერს. რონალდოს სანაცვლოდ „მილანი“, სავარაუდოდ, 7 მილიონ 500 ათას ევროს გადაიხდის.

**ირაკლი ჩინიძე**

# მანჩინი ჩელსინი გახდება?

## გაიარ-გამოიარე ბანაკში და გაიგებ

**რობერტო მანჩინი** აღარ მალავს, რომ მომავალი სეზონიდან „ჩელსის“ მწვრთნელობა უნდა. ყოვლისმჩხრეკავმა ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“ დაადგინა, რომ თუ ლონდონელთა პრეზიდენტი რომან აბრამოვიჩი მიმდინარე სეზონის ბოლოს პორტუგალიელ ქოზე მაურინიუს შეელევა — ეს კი, როგორც ჩანს, სწორედ ასე მოხდება — მის ადგილს „ინტერის“ დღევანდელი თავკაცი დაიკავებს.

მანჩინიმ სანელებს უთხრა: „ერთ მშვენიერ დღეს მართლაც მინდა პრემიერლიგაში მუშაობა. „ჩელსიზე“ რას ვიტყვი? „ჩელსიში“ მუშაობა ფანტასტიკური იქნებოდა“.

გუშინდელ „სარბიელშიც“ ეწერა, რომ მანჩინის მილანის გუნდთან ექვსი თვეღა აკავშირებს, ახალი ხელშეკრულების დადებისგან კი მწვრთნელი თავს იკავებს. „სამპდორიას“, „ლაციოს“, იტალიის ნაკრებისა და 2001 წელს, სულ ცოტა ხნით ინგლისური „ლესტერის“ თავდამსხმელს „ინტერთან“ კონტრაქტი გასულ კვირას უნდა განეახლებინა, მაგრამ ბოლოწამს თავი შეიკავა და ამან აბრამოვიჩს იმედი მისცა, რომ რამდენიმე თვეში მანჩინი მისი იქნება.

ბუნებრივია, „სანის“ ჟურნალისტებმა მანჩინის ისიც ჰკითხეს, აპირებს თუ არა ბოლოს და ბოლოს „შავ-ლურჯებთან“ კონტრაქტის განახლებას. მწვრთნელმა უპასუხა:

„კონტრაქტის შესახებ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი და საერთოდაც, ეს ფორმალობა სულაც არ არის“.

და „სანი“ რისი „სანი“ იქნებოდა, მანჩინის მეგობრებშიც რომ არ გაეკითხ-გამოეკითხა.

„რობერტომ იცის, რომ მისით „ჩელსია“ დაინტერესებული, მაგრამ სხვანაირი ბუნების ადამიანია და „ინტერიდან“ ძალიან ბევრი ფიქრის გარეშე არ წავა. ამწუთას მისი წასვლა-დარჩენის ამბავი 50-50-ზეა“ — თქვა ერთ-ერთმა მეგობარმა.

ინგლისელ ჟურნალისტთა მეორე ჯგუფმა კი მაურინიუს ბანაკთან გაიარ-გამოიარა და დაადგინა, რომ პორტუგალიელის იურისტთათვის ახალი კონტრაქტის შესახებ არავის არაფერი უთქვამს. ადამიანური ენით რომ ვთქვათ, არ ჰგავს, რომ აბრამოვიჩი მაურინიუსთან თანამშრომლობის გაგრძელებას აპირებდეს.

და კიდევ, ასისტენტმა მწვრთნელმა სტივ კლარკმა თქვა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, სეზონის ბოლოს „ჩელსიდან“ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი წავა.

**ბაჩუნა ძედია**



# გონება დაკავებულია

## რონის არაფრის გაგონება არ უნდა



**რონალდინიოზე** ხმები დაყარეს, თითქოს სეზონის ბოლოს „ბარსელონადან“ „ჩელსიში“ ან „მილანში“ წავა, მაგრამ თავად ვარსკვლავმა ეს ხმები უარყო.

ერთი სიტყვით, რონალდინიო „ბარსაში“ თავს ჩინებულად გრძნობს და „კამპ ნოუზე“ ბრწყინვალე კარიერაც მოიწყო, მაგრამ იმასაც არ მალავს, რომ „ჩელსის“ ინტერესის შესახებ მისთვის ცნობილია:

„ლონდონელებს დიდი კლუბი ჰყავთ და როდესაც ასეთი ხალხისგან ყურადღებას და ინტერესს გრძნობ, ეს ძალიან სასიამოვნოა, თუმცა ჩემი გონება ამჯერად მხოლოდ „ბარსათია“ დაკავებული. მინდა ყველა ღონე ვიხმარო, რათა „ბარსას“ მორიგი წარმატებების მიღწევაში დავეხმარო“.

არადა, იტალიური გაზეთები ჯიუტად წერენ „პარი სენ ჟერმენის“ ყოფილი მოთამაშის „მილანთან“ შესაძლო დამოყვრების შესახებ.

„ბარსელონაში თავს ბედნიერად ვგრძნობ — განაგრძობს რონალდინიო — არც ერთ სხვა გუნდში გადასვლაზე არ მიფიქრია და მინდა ეს სეზონი, ისევე, როგორც ბოლო სეზონები, კარგი თამაშითა და ტიტულებით დავასრულო“.

როგორც ირკვევა, იტალიური ჭორები „რეალიდან“ „მილანში“ რონალდოს გადასვლასთან არის დაკავშირებული. მავანთ ამ ორი თანამემამულის, თუმც სხვამხრივ დაუკავშირებელი ადამიანის ამბავი რაღაცნაირად მიაბეს ერთმანეთს და დაასკვნეს, რომ ერთის ტრანსფერი მეორისას იწვევს.

„არავითარ შემთხვევაში — თქვა ბარსელონელმა — უკვე ვთქვი, რომ ჩემი გონება მხოლოდ „ბარსათია“ დაკავებული და ერთადერთი რაც მინდა, აქ დარჩენაა“.

შევახსენებთ, რომ ბოლო ხანს რონალდინიო კრიტიკის საგნად იქცა, რადგან, ბევრის აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მისი ფორმა საგრძნობლად გაუარესდა.

**ბაჩუნა ძედია**

# გოშიას გოშია ფეხებზე ჰკიდია

**დიდიე დროგბა** „ჩელსის“ პირველი ფეხბურთელია, რომელმაც თქვა, ჩანს, მაურინიუს ხანა „ჩელსიში“ სრულდებაო.

მთავარმეგოლემ განაცხადა, რომ გუნდური სული „ჩელსიში“ დაცემულია და ამის მიზეზი ფეხბურთელები კი არ არიან, არამედ მმართველობა.

დროგბამ ასევე მიანიშნა, რომ თუკი მაურინიუ წავა, ის მას გაჰყვება, რადგან ქოზეს გარეშე „ჩელსი“ მოსაწყენი და უფერული რამ იქნება.

„ჩვენ ქინი გვაკლია — თქვა დროგბამ — შეიძლება ეს ქოზეს დასასრული იყოს. არ ვიცი ეს ქინი სად გაგვეპარა. არც ის ვიცი, რატომ შეუტია მაურინიუს მისივე კლუბის მმართველობამ. ახლა ყველამ ვიცით, რომ ერთობა აღარ არის“.

დროგბამ ახლახანს განაახლა კონტრაქტი „ჩელსისთან“ და 2010 წლამდე იქ უნდა იყოს, მაგრამ წასვლასაც არ გამორიცხავს.

„ვიცი, რომ ბევრი მაურინიუს გოშიას მეძახის, მაგრამ ფეხებზე მკიდია. ის განსაკუთრებული ვინმეა და მძიმე პირობებშიც კი გააგრძელებს მუშაობას. ქოზემ ჩვენ ახალი ძალები შთაგვბერა, როგორც ფეხბურთელებს. თუ ის წავა, ალბათ მეც წავალ. ბრმად კი არა, არამედ იმიტომ, რომ აქ მან მომიყვანა და მაგარ ფეხბურთელად მაქცია. ვიცი, ასე ფიქრობენ ჯონ ტერი და ფრენკ ლამპარდიც“.

დროგბას ეს ლაპარაკი ალბათ გააბრაზებს რომან აბრამოვიჩს, რომელიც უკვე „ინტერიდან“ რობერტო მანჩინის გადმოყვანას უმიზნებს.

„პრემიერლიგა დავალებულია ქოზესგან. მან ახალი სტილი და ტონი შემოიტანა აქ. სერ ალექსი და ვენგერი დიდი მწვრთნელები არიან, მაგრამ არ მგონია მათთვის გულის გადაშლა იოლი იყოს. ქოზესთან კი შეიძლება. ესეც არ იყოს და მის გვერდით ყოფნა ხალისს ნიშნავს — ის ყოველთვის ახალი და ნიჭიერია“ — ამბობს დროგბა.

**ირაკლი გამყრელიძე**



## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიური** „ლივორნოს“ კონტრაქტი... 

**იტალიური** „ლივორნოს“ კოტდივუარელი ფორვარდი იბრაჰიმა ბაკაიოკო „მესინაში“ გადავიდა და 2009 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. 30 წლის აფრიკელმა ამ სეზონში 16 მატჩში სამი გოლი გაიტანა და მესამე ფეხბურთელია, რომელიც „მესინამ“ შეიძინა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას. ბაკაიოკომდე გუნდში მივიდნენ მცველი ვინსენ კანდელა და ნახევარმცველი რობერტო დავერსა „სიენადან“.

**ფრანგულმა** პსჟ-მ გლაზგოს „რეინჯერსიდან“ ნახევარმცველი ჟერემი კლემენტი შეიძინა. იგი ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა მას შემდეგ, რაც ლე გუენი „რეინჯერსიდან“ წავიდა. შევახსენებთ, რომ ფრანგმა მწვრთნელმა სეზონის დასაწყისში ჩაიბარა „ჩაფრები“, მაგრამ ცუდი შედეგების გამო ერთი თვის წინ გაუშვეს და ახლა პსჟ-ს თავკაცობს. სწორედ მისი ინიციატივით ჩაიყვანეს კლემენტი პარიზულ კლუბში.

**გერმანულმა** „ვერდერმა“ „აიაქსის“ ფორვარდი მარკუს როზენბერგი გადაიბირა. 24 წლის შვედს ამსტერდამულ კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე ჰქონდა და 63 მატჩში 20 გოლი გაიტანა. მას უეფას თასზე „აიაქსის“ შემადგენლობაში უთამაშია და „ვერდერს“ ველარ დაეხმარება ამ ტურნირში.

**ფრანგული** „ნიცას“ თავდამსხმელი მეტ მუსილუ ოჯარის წესით „სენტ ეტიენში“ გადავიდა. სეზონის ბოლოს „სენტ ეტიენს“ მისი კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება ექნება. მუსილუ „ნიცამ“ შარშან ზაფხულს „ლილისგან“ იყიდა, მაგრამ 24 წლის ფორვარდმა თავი ვერაფრით ვერ გამოიჩინა.

**გერმანული** „დორტმუნდის“ მცველ კრისტიან ვიორნსს ვარჯიშზე კუნთი გაუწყდა. 34 წლის ფეხბურთელმა ამ სეზონში 14 მატჩი ითამაშა, ახლა კი დაახლოებით ერთი თვით დააკლდება გუნდს.

**ესპანური** „მალიორკას“ მეკარე მიგელ ანხელ მოიამ მხარი იტკინა მადრიდის „რეალთან“ მატჩში და ალბათ სამ-ოთხი კვირა დაისვენებს. 22 წლის გოლკიპერმა 43-ჯერ ითამაშა მას შემდეგ, რაც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდა.

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXI ტური

ნანსი 0:2 სენტ ეტიენი.

0:1 ილანი (56), 0:2 გომისი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 21 | 16 | 2 | 3 | 40:15 | 50 |
| მარსელი | 21 | 11 | 3 | 7 | 30:20 | 36 |
| ლანსი | 21 | 10 | 6 | 5 | 29:22 | 36 |
| ლილი | 21 | 9 | 8 | 4 | 29:20 | 35 |
| სენტ ეტიენი | 21 | 10 | 4 | 7 | 33:24 | 34 |
| სოშო | 21 | 9 | 7 | 5 | 24:22 | 34 |
| ბორდო | 21 | 10 | 3 | 8 | 24:24 | 33 |
| ტულუზი | 21 | 9 | 4 | 8 | 23:25 | 31 |
| ნანსი | 21 | 8 | 6 | 7 | 19:19 | 30 |
| ლე მანი | 21 | 6 | 10 | 5 | 24:23 | 28 |
| რენი | 21 | 7 | 7 | 7 | 18:18 | 28 |
| ლორიანი | 21 | 7 | 7 | 7 | 21:23 | 28 |
| ოსერი | 21 | 6 | 8 | 7 | 22:27 | 26 |
| ვალანსიენი | 21 | 7 | 4 | 10 | 19:30 | 25 |
| მონაკო | 21 | 6 | 5 | 10 | 24:23 | 23 |
| ნანტი | 21 | 4 | 8 | 9 | 17:24 | 20 |
| პსჟ | 21 | 4 | 8 | 9 | 19:27 | 20 |
| ტრუა | 21 | 4 | 8 | 9 | 21:30 | 20 |
| ნიცა | 21 | 3 | 7 | 11 | 15:23 | 16 |
| სედანი | 21 | 2 | 9 | 10 | 25:37 | 15 |

# გლები ვან პერსის მიუჯდა



ალექსანდრ გლები

ლონდონის „არსენალის“ ლაზარეთს ბელარუსი ნახევარმცველი ალექსანდრ გლებიც მიემატა. მან „ტოტენჰემთან“ თასის მატჩში მიიღო ტრავმა და დაახლოებით ერთი თვე ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მოგებულ შეხვედრაში დაშავდა „მეთოფეთა“ ახალგაზრდა თავდამსხმელი რობინ ვან პერსიც. მან ფეხი მოიტეხა და კარგა ხანს ვერ გავა მინდორზე.

„ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან, როცა ფეხბურთელს იანვარში კარგავ, დიდი შანსია, მან იმ სეზონში წესიერად ველარც ითამაშოს. ამბობენ, 4-6 კვირას, მაგრამ რეალურად სარეაბილიტაციო პერიოდმა შესაძლოა, 10 კვირა გასტანოს. აპრილში დაბრუნებული ფეხბურთელი კი სეზონის ბოლომდე ფორმაში ჩადგომას ვერ მოასწრებს. იმედი მაქვს, რომ გლებიც და ვან პერსიც იმაზე ადრე დაბრუნდებიან, ვიდრე ველით“ — თქვა „რსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

„ტოტენჰემთან“ მატჩში დაშავდნენ ემანუელ ებუ და ჯერემი ალიადირიც, თუმცა მათი ტრავმები სერიოზული არ არის. ვენგერმა ისიც დაადასტურა, რომ ვეტერანი ნახევარმცველი რეი პარლო, რომელსაც „არენალის“ ღირსება 468-ჯერ დაუცავს, გუნდთან ერთად ვარჯიშობს. მას „მიდლსბროსთან“ კონტრაქტი ცოტა ხნის წინ დაუმთავრდა და ახლა უკლუბოდაა.

„მას ფორმის აღდგენა უნდა და ჩვენთან ერთად ვარჯიში შევთავაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეის დავიმატებთ, ეს არ მოხდება“ — განაცხადა ფრანგმა.

**ბოძი ბანდელაძი**

# წარმოუდგენელია!
## ბირჰოფმა რუმენიგეს ნაიკი ესროლა



ოლივერ ბირჰოფი

მიუნხენის „ბაიერნი“ იმუქრება, რომ თავის გერმანელ ფეხბურთელებს ნაკრებში არ გაუშვებს — საქმე სპონსორობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება.

რამ შეაშფოთა „ბაიერნი“? იმან, რომ გავრცელებულ ხმათა თანახმად, ამერიკული გიგანტი „ნაიკი“ გერმანიის ნაკრების სპონსორის როლში ადგილობრივი „ადიდასის“ ჩანაცვლებას აპირებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუნხენელთა კლუბის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა მეწილე-პატრონმა „ადიდასმა“ უნდა უცქიროს, როგორ ითამაშებენ ბუნდესნაკრების შემადგენლობაში „ნაიკის“ ფორმაში გამოწყობილი ბაიერნელები. რა იქნება ეს თუ არა ღალატი? — კითხულობენ ბავარიის მიწაზე.

„ვერ წარმომიდგენია „ბაიერნის“ ფეხბურთელი გერმანიის ნაკრების ფორმაში, რომელსაც „ნაიკის“ ლოგო ექნება ამოქარგული — ამბობს კარლ-ჰაინც რუმენიგე, მიუნხენელთა პრეზიდენტი და გერმანიის ნაკრების ყოფილი დიდი ვარსკვლავი, თუმცა მისმა ამ ნათქვამმა ნაკრების მენეჯერი და ასევე ყოფილი ფეხბურთელი ოლივერ ბირჰოფი გააბრაზა.

„წესების თანახმად ფეხბურთელმა უნდა ჩაიცვას ის ფორმა, რომელსაც მას ფეხბურთის ფედერაცია მისცემს“ — თქვა ბირჰოფმა და დასძინა, რომ თუ „ბაიერნი“ მართლა აღარ გაუშვებს ფეხბურთელებს ნაკრებში, ის საქმეს ფიფაში აღძრავს.

თუმცა, პოზიციების შეჯერებისათვის დრო ჯერ საკმარისადაა — კონტრაქტის თანახმად „ადიდასი“ გერმანიის ნაკრებს 2011 წლამდე შემოსავს. რაც შეეხება „ნაიკის“ ხიბლს, როგორც ამბობენ ის წლიური 50 მილიონი ევროთი განისაზღვრება და ჩანაფიქრის თანახმად რვა წელიწადს უნდა გაგრძელდეს.

„ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების ლეგენდამ ფრანც ბეკენბაუერმა ქვეყნის საფეხბურთო კავშირს ასჯერ გაზომვა და მერე და გაჭრა ურჩია.

„წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირი დანაშაულს ჩაიდენს, თუმცა იმასაც გულწრფელად გეტყვით, რომ მათგან აზრის შეცვლის იმედი არ მაქვს“ — ბრძანა კაიზერმა.

**პაპუნა ძედია**

| XVIII ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| დორტმუნდი | : | ბაიერნი |
| *წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვ.) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის* | | |
| **დღეს** | | |
| ნიურნბერგი | : | შტუტგარტი |
| კოტბუსი | : | გლადბახი |
| ბოხუმი | : | მაინცი |
| ჰერტა | : | ვოლფსბურგი |
| არმინია | : | ჰამბურგი |
| აინტრახტი | : | შალკე |
| **ხვალ** | | |
| ალემანია | : | ლევერკუზენი |
| ვერდერი | : | ჰანოვერი |

## გერმანია
# თომას დოლმა ცხრა ჩაიფიქრა

ერთთვიანი შესვენების შემდეგ ბუნდესლიგა გუშინ „დორტმუნდი“ „ბაიერნის“ მატჩით განახლდა, ხოლო „ზამთრის ჩემპიონი“ ბრემენის „ვერდერი“ ხვალ „ჰანოვერს“ უმასპინძლებს. ბრემენელთა მწვრთნელი თომას შაფი იმედოვნებს, რომ ფორვარდი მიროსლავ კლოზე ძირითად შემადგენლობაში ექნება. ამ გუნდების ბოლო ორი შეხვედრა „ვერდერის“ გამარჯვებით (4:2 და 5:0) დასრულდა და, ალბათ, ამჯერადაც არ გაუჭირდება მეტოქის დამარცხება.

„ვაკვირდები კლოზეს ვარჯიშებზე და ვამჩნევ, რომ ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა ფორმაში შედის. გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და სწორედ მის თამაშზეა ბევრი რამ დამოკიდებული.“

ფრენკ ბაუმანმა კი, რომელსაც ამხანაგურ მატჩში ითამაშა და ახლა სრული დატვირთვით ვარჯიშობს, დიდხანს იმკურნალა და რაღაც პერიოდი კიდევ დასჭირდება სრულყოფამდე, თუმც ვიმედოვნებ, რომ ეს დიდხანს აღარ გაიწელება“ — აღნიშნა შააფმა და იქვე დასძინა, „ჰანოვერთან“ ბოლო ორი მატჩის მოგებამ არ უნდა გაგვათამამოსო: „ის უკვე წარსულია და აღარც კი მახსოვს. ვფიქრობ, მეტოქე ერთი თავდამსხმელით და ხუთი ნახევარმცველით ითამაშებს და მათი დაცვითი ზღუდეების გავლა იოლი არ იქნება.“

„ჰანოვერმა“ პირველი წრე ცუდად დაიწყო, რის გამოც მწვრთნელი პიტერ ნოირურერი მოხსნეს და მის ნაცვლად დიტერ ჰეკინგი დანიშნეს, რომელმაც გუნდი ფერზე მოიყვანა და გასავარდნი ზონიდან ამოათრია. მიუხედავად ამისა, „ჰანოვერი“, ალბათ, მაინც ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძოლებს.

„ჰამბურგმა“, რომელსაც სეზონის დაწყებამდე საჩემპიონო ამბიციები ჰქონდა, ისე ჩაამთავრა პირველი წრე, რომ მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და, „ჰანოვერისა“ არ იყოს, ელიტაში დასარჩენად ბრძოლა უწევს. ჰამბურგელთა მწვრთნელმა თომას დოლმა პოსტი რისვაი-ვაგლახით შეინარჩუნა და ახლა ამბობს, რომ დარჩენილ 17 ტურში ცხრა თამაში უნდა მოიგოს, რათა მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდეს. „ჩვენ აუცილებლად გვჭირდება 27 ქულა. ეს სავსებით შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გუნდში სხვადასხვა ქვეყნის ნაკრების 16 უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გვყავს.“

„ჰამბურგი“ ერთადერთი გუნდია, რომელიც ბუნდესლიგის შექმნიდან (1963) ელიტიდან არ გავარდნილა. დღეს ჰამბურგელები ბილეფილდის „არმინიას“ ესტუმრებიან და ეგებ სეზონში მეორედ მოგება შეძლონ.

**ირაკლი ნინიძე**



მიროსლავ კლოზე

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვერდერი | | | 3:1 | 2:3 | 3:1 | 2:1 | | 3:0 | 1:3 | | | 2:1 | | | 1:1 | 3:0 | | | 17 | 11 | 3 | 3 | 47:22 | 36 | 6 | 1 | 2 | 20:11 | 19 | 5 | 2 | 1 | 27:11 | 17 |
| 2 | შალკე | 2:0 | | 2:2 | | | | | | 3:1 | 1:1 | 2:1 | 2:0 | | 2:1 | | | | 4:0 | 17 | 11 | 3 | 3 | 29:17 | 36 | 6 | 2 | 0 | 18:6 | 20 | 5 | 1 | 3 | 11:11 | 16 |
| 3 | ბაიერნი | | | | 2:1 | 4:2 | | 0:0 | | 2:0 | 2:0 | 0:1 | | 2:1 | | 2:1 | 1:1 | | | 17 | 10 | 3 | 4 | 30:19 | 33 | 6 | 2 | 1 | 15:7 | 20 | 4 | 1 | 3 | 15:12 | 13 |
| 4 | შტუტგარტი | | 3:0 | | | | 3:0 | 0:3 | | 1:3 | 1:1 | | | | 1:0 | | 1:0 | 2:0 | | 17 | 9 | 5 | 3 | 28:19 | 32 | 5 | 1 | 2 | 12:7 | 16 | 4 | 4 | 1 | 16:12 | 16 |
| 5 | ჰერტა | | 2:0 | | 2:2 | | | 2:1 | | | 1:0 | 4:0 | | 2:1 | 3:3 | | 2:1 | | | 17 | 7 | 6 | 4 | 28:24 | 27 | 6 | 2 | 0 | 18:8 | 20 | 1 | 4 | 4 | 10:16 | 7 |
| 6 | ლევერკუზენი | | 3:1 | 2:3 | | 2:1 | | | | | | | 1:1 | 3:0 | | 3:1 | | 1:2 | 1:1 | 17 | 7 | 4 | 6 | 28:24 | 25 | 4 | 2 | 2 | 16:10 | 14 | 3 | 2 | 4 | 12:14 | 11 |
| 7 | ნიურნბერგი | 1:2 | 0:0 | | | | 3:2 | | 1:1 | 1:1 | | 3:1 | | | 1:1 | | 1:0 | | 1:1 | 17 | 4 | 11 | 2 | 21:16 | 23 | 3 | 5 | 1 | 12:9 | 14 | 1 | 6 | 1 | 9:7 | 9 |
| 8 | არმინია | | 0:1 | 2:1 | 2:3 | 2:2 | 0:0 | | | | | | 0:0 | 5:1 | | 3:1 | | | 1:0 | 17 | 5 | 7 | 5 | 23:19 | 22 | 4 | 3 | 2 | 15:9 | 15 | 1 | 4 | 3 | 8:10 | 7 |
| 9 | დორტმუნდი | | | | | 1:2 | 1:2 | | 1:1 | | | 2:2 | 1:0 | 0:0 | 1:1 | | | 1:0 | 1:1 | 17 | 5 | 7 | 5 | 21:21 | 22 | 2 | 5 | 2 | 9:9 | 11 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| 10105 | სამპდორია-ინტერი | 5.50 | 2.10 | 2.10 | 1.51 | 1.51 | 1.04 |
| 10139 | ბარსელონა-სელტა | 1.55 | 2.70 | 8.50 | 1.00 | 1.31 | 2.04 |
| 10141 | ხეტაფე-ოსასუნა | 2.45 | 2.00 | 4.30 | 1.10 | 1.56 | 1.36 |
| 10142 | ლევანტე-სევილია | 4.80 | 2.10 | 2.20 | 1.46 | 1.50 | 1.07 |
| 10144 | მალიორკა-უელვა | 2.85 | 2.00 | 3.30 | 1.17 | 1.52 | 1.24 |
| 10145 | სოსიედადი-ბილბაო | 2.75 | 2.00 | 3.40 | 1.15 | 1.52 | 1.25 |
| 10146 | ვილიარეალი-რეალი | 3.85 | 2.10 | 2.45 | 1.35 | 1.49 | 1.13 |
| 10148 | ბეტისი-ვალენსია | 3.90 | 2.00 | 2.55 | 1.32 | 1.54 | 1.12 |
| 10149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 3.65 | 2.00 | 2.65 | 1.29 | 1.53 | 1.13 |
| 10150 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.30 | 2.10 | 4.60 | 1.09 | 1.53 | 1.44 |
| 10151 | ატლეტიკო-რასინგი | 2.15 | 2.10 | 5.40 | 1.06 | 1.53 | 1.51 |
| 10177 | ლე მანი-მარსელი | 3.35 | 1.90 | 3.10 | 1.21 | 1.61 | 1.17 |
| 10178 | ბორდო-ლილი | 2.90 | 1.90 | 3.65 | 1.14 | 1.61 | 1.24 |
| 10179 | ნანტი-ლორიანი | 2.65 | 2.00 | 4.00 | 1.13 | 1.59 | 1.33 |
| 10180 | რენი-ვალენსიენი | 2.45 | 2.00 | 4.30 | 1.10 | 1.56 | 1.36 |
| 10181 | სედანი-მონაკო | 3.30 | 1.90 | 3.00 | 1.20 | 1.57 | 1.16 |
| 10182 | ტულუზი-ტრუა | 2.25 | 2.00 | 4.85 | 1.05 | 1.53 | 1.41 |
| 10183 | ლიონი-ნიცა | 1.45 | 3.10 | 6.50 | 1.00 | 1.18 | 2.09 |
| 10185 | პსჟ-სოშო | 2.65 | 1.90 | 3.90 | 1.10 | 1.57 | 1.27 |
| 10186 | ოსერი-ნანსი | 2.45 | 2.00 | 4.60 | 1.10 | 1.59 | 1.39 |
| 10187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 2.35 | 2.00 | 4.70 | 1.08 | 1.56 | 1.40 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11052 | რეინჯერსი-პართსი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11053 | სტ.მირენი-აბერდინი | 4.20 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11054 | ინვერნესი-სელტიკი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 1.65 |
| 11073 | ბოხუმი-მაინცი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11077 | აინტრახტი-შალკე | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11079 | არმინია-ჰამბურგი | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11080 | ალემანია-ლევერკუზენი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.95 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11094 | ტორინო-უდინეზე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11095 | პალერმო-ლაციო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11096 | კიევო-ემპოლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11097 | მესინა-ასკოლი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11098 | ატალანტა-კატანია | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11099 | კალიარი-რეჯინა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11100 | რომა-სიენა | 1.95 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11102 | ფიორენტინა-ლივორნო | 2.25 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11103 | მილანი-პარმა | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11105 | სამპდორია-ინტერი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.50 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11139 | ბარსელონა-სელტა | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11141 | ხეტაფე-ოსასუნა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11142 | ლევანტე-სევილია | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11144 | მალიორკა-უელვა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11145 | სოსიედადი-ბილბაო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11146 | ვილიარეალი-რეალი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11148 | ბეტისი-ვალენსია | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11150 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.65 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11151 | ატლეტიკო-რასინგი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11177 | ლე მანი-მარსელი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11178 | ბორდო-ლილი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11179 | ნანტი-ლორიანი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11180 | რენი-ვალენსიენი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11181 | სედანი-მონაკო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11182 | ტულუზი-ტრუა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11183 | ლიონი-ნიცა | 1.50 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11185 | პსჟ-სოშო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11186 | ოსერი-ნანსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.70 | 1.90 |
| 12050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 12051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 12052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 12053 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 12054 | ინვერნესი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 12073 | ბოხუმი-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 12074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 12077 | აინტრახტი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12079 | არმინია-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12080 | ალემანია-ლევერკუზენი | 2.00 | 1.60 |
| 12081 | ვერდერი-ჰანოვერი | 2.20 | 1.50 |
| 12094 | ტორინო-უდინეზე | 1.60 | 2.00 |
| 12095 | პალერმო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12096 | კიევო-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12097 | მესინა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 12098 | ატალანტა-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 12099 | კალიარი-რეჯინა | 1.60 | 2.00 |
| 12100 | რომა-სიენა | 1.90 | 1.70 |
| 12102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 12103 | მილანი-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 12105 | სამპდორია-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12139 | ბარსელონა-სელტა | 1.90 | 1.70 |
| 12141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12142 | ლევანტე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12144 | მალიორკა-ულვა | 1.60 | 2.00 |
| 12145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.60 | 2.00 |
| 12146 | ვილიარეალი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12148 | ბეტისი-ვალენსია | 1.60 | 2.00 |
| 12149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12177 | ლე მანი-მარსელი | 1.55 | 2.10 |
| 12178 | ბორდო-ლილი | 1.60 | 2.00 |
| 12179 | ნანტი-ლორიანი | 1.45 | 2.30 |
| 12180 | რენი-ვალენსიენი | 1.60 | 1.90 |
| 12181 | სედანი-მონაკო | 1.50 | 2.20 |
| 12182 | ტულუზი-ტრუა | 1.55 | 2.10 |
| 12183 | ლიონი-ნიცა | 1.80 | 1.80 |
| 12185 | პსჟ-სოშო | 1.50 | 2.50 |
| 12186 | ოსერი-ნანსი | 1.55 | 2.10 |
| 12187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.70 | 1.90 |
| 13050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 13051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 13052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 13053 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 13054 | ინვერნესი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 13073 | ბოხუმი-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 13077 | აინტრახტი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13079 | არმინია-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13080 | ალემანია-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 13094 | ტორინო-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13095 | პალერმო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13096 | კიევო-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13097 | მესინა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13098 | ატალანტა-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 13099 | კალიარი-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13100 | რომა-სიენა | 1.90 | 1.70 |
| 13102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13103 | მილანი-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 13105 | სამპდორია-ინტერი | 1.90 | 1.70 |
| 13139 | ბარსელონა-სელტა | 1.90 | 1.70 |
| 13141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13142 | ლევანტე-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 13144 | მალიორკა-ულვა | 1.90 | 1.70 |
| 13145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.90 | 1.70 |
| 13146 | ვილიარეალი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 13148 | ბეტისი-ვალენსია | 1.90 | 1.70 |
| 13149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 1.90 | 1.70 |
| 13150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.90 | 1.70 |
| 13151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.90 | 1.70 |
| 13177 | ლე მანი-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 13178 | ბორდო-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 13179 | ნანტი-ლორიანი | 1.70 | 1.90 |
| 13180 | რენი-ვალენსიენი | 1.70 | 1.90 |
| 13181 | სედანი-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 13182 | ტულუზი-ტრუა | 1.90 | 1.70 |
| 13183 | ლიონი-ნიცა | 2.10 | 1.45 |
| 13185 | პსჟ-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13186 | ოსერი-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.45 | 2.40 |
| 14050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.70 | 2.40 |
| 14051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.30 | 2.50 |
| 14052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.30 | 2.50 |
| 14053 | სტ.მირენი-აბერდინი | 2.00 | 1.80 |
| 14054 | ინვერნესი-სელტიკი | 2.90 | 1.07 |
| 14073 | ბოხუმი-მაინცი | 1.65 | 2.10 |
| 14074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.40 | 2.40 |
| 14075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.80 | 1.90 |
| 14076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.80 | 1.90 |
| 14077 | აინტრახტი-შალკე | 2.10 | 1.65 |
| 14079 | არმინია-ჰამბურგი | 1.80 | 1.90 |
| 14080 | ალემანია-ლევერკუზენი | 2.00 | 1.80 |
| 14081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.07 | 2.80 |
| 14094 | ტორინო-უდინეზე | 1.80 | 1.90 |
| 14095 | პალერმო-ლაციო | 1.65 | 2.10 |
| 14096 | კიევო-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14097 | მესინა-ასკოლი | 1.45 | 2.40 |
| 14098 | ატალანტა-კატანია | 1.40 | 2.40 |
| 14099 | კალიარი-რეჯინა | 1.70 | 2.10 |
| 14100 | რომა-სიენა | 1.18 | 2.60 |
| 14102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.30 | 2.50 |
| 14103 | მილანი-პარმა | 1.07 | 2.90 |
| 14105 | სამპდორია-ინტერი | 2.40 | 1.40 |
| 14139 | ბარსელონა-სელტა | 1.06 | 2.90 |
| 14141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.70 | 2.00 |
| 14142 | ლევანტე-სევილია | 2.30 | 1.60 |
| 14144 | მალიორკა-ულვა | 1.80 | 1.90 |
| 14145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.80 | 2.00 |
| 14146 | ვილიარეალი-რეალი | 2.10 | 1.70 |
| 14148 | ბეტისი-ვალენსია | 2.20 | 1.70 |
| 14149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 2.20 | 1.70 |
| 14150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.60 | 2.30 |
| 14151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.30 | 2.50 |
| 14177 | ლე მანი-მარსელი | 1.90 | 1.90 |
| 14178 | ბორდო-ლილი | 1.80 | 2.00 |
| 14179 | ნანტი-ლორიანი | 1.75 | 2.10 |
| 14180 | რენი-ვალენსიენი | 1.65 | 2.20 |
| 14181 | სედანი-მონაკო | 1.90 | 1.90 |
| 14182 | ტულუზი-ტრუა | 1.60 | 2.30 |
| 14185 | პსჟ-სოშო | 1.75 | 2.10 |
| 14186 | ოსერი-ნანსი | 1.70 | 2.20 |
| 14187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.30 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | რეინჯერსი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | სტ.მირენი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | ინვერნესი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | ბოხუმი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | აინტრახტი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | არმინია-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | ალემანია-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | ვერდერი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | ტორინო-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | პალერმო-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | კიევო-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | მესინა-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | ატალანტა-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | კალიარი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | რომა-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ფიორენტინა-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | სამპდორია-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | ბარსელონა-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | ხეტაფე-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | ლევანტე-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | მალიორკა-ულვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | სოსიედადი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ვილიარეალი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ბეტისი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ატლეტიკო-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | ლე მანი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ბორდო-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | ნანტი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | რენი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | სედანი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | ტულუზი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | ლიონი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | პსჟ-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ოსერი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.25 | 3.20 |
| 16050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.65 | 2.00 |
| 16051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.25 | 3.20 |
| 16052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.25 | 3.20 |
| 16053 | სტ.მირენი-აბერდინი | 2.00 | 1.65 |
| 16054 | ინვერნესი-სელტიკი | 4.20 | 1.15 |
| 16073 | ბოხუმი-მაინცი | 1.43 | 2.45 |
| 16074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.22 | 3.40 |
| 16075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.75 | 1.90 |
| 16076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.95 |
| 16077 | აინტრახტი-შალკე | 2.20 | 1.50 |
| 16079 | არმინია-ჰამბურგი | 1.75 | 1.85 |
| 16080 | ალემანია-ლევერკუზენი | 2.00 | 1.60 |
| 16081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.04 | 6.50 |
| 16094 | ტორინო-უდინეზე | 1.60 | 2.10 |
| 16095 | პალერმო-ლაციო | 1.30 | 2.90 |
| 16096 | კიევო-ემპოლი | 1.60 | 2.10 |
| 16097 | მესინა-ასკოლი | 1.25 | 3.30 |
| 16098 | ატალანტა-კატანია | 1.23 | 3.40 |
| 16099 | კალიარი-რეჯინა | 1.45 | 2.30 |
| 16100 | რომა-სიენა | 1.05 | 6.50 |
| 16102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.10 | 5.10 |
| 16105 | სამპდორია-ინტერი | 3.75 | 1.20 |
| 16141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.37 | 2.65 |
| 16142 | ლევანტე-სევილია | 3.20 | 1.25 |
| 16144 | მალიორკა-ულვა | 1.65 | 2.00 |
| 16145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.65 | 2.00 |
| 16146 | ვილიარეალი-რეალი | 2.65 | 1.35 |
| 16148 | ბეტისი-ვალენსია | 2.40 | 1.45 |
| 16149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 2.00 | 1.06 |
| 16150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.30 | 2.90 |
| 16151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.22 | 3.50 |
| 16177 | ლე მანი-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 16178 | ბორდო-ლილი | 1.50 | 2.30 |
| 16179 | ნანტი-ლორიანი | 1.45 | 2.35 |
| 16180 | რენი-ვალენსიენი | 1.35 | 2.60 |
| 16181 | სედანი-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 16182 | ტულუზი-ტრუა | 1.30 | 2.90 |
| 16185 | პსჟ-სოშო | 1.45 | 2.30 |
| 16186 | ოსერი-ნანსი | 1.35 | 2.60 |
| 16187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.33 | 2.70 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | ინვერნესი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | ბოხუმი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | აინტრახტი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17079 | არმინია-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ალემანია-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | ტორინო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17095 | პალერმო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17096 | კიევო-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | მესინა-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ატალანტა-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17099 | კალიარი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17100 | რომა-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17103 | მილანი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17105 | სამპდორია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ბარსელონა-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17142 | ლევანტე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17144 | მალიორკა-ულვა | 1.85 | 1.95 |
| 17145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ვილიარეალი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ბეტისი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | ლე მანი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ბორდო-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | ნანტი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17180 | რენი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | სედანი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17182 | ტულუზი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17183 | ლიონი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17185 | პსჟ-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ოსერი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |

## საქართველოს თასი. თბილისი. 26-29 იანვარი

# ხუთი ოთხზე

## არშემდგარი ავიაკატასტროფა

**თსუ 81:76 დინამო**
*19:24 15:28 20:11 27:13*

თსუ: არწივიძე (4), ბ. ბერიშვილი (3), ფანჩულიძე (3), ლეჟავა (32), ვეფხვაძე, შანიძე (2), მათიაშვილი (8), სანიკიძე (1), იმნაძე (7), მ. ბერიშვილი (21)
დინამო: გულისაბედაშვილი (11), ბადრიძე (8), ლაფანაშვილი (4), სიგუა (2), ბოლქვაძე (4), მურჯიკნელი (8), კეშელავა (28), ფაიქრიძე (7), კოლუაშვილი (4)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით არეშიძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ავიაშენი 104:93 მაკაბი**
*18:25 28:27 24:16 34:25*

ავიაშენი: დ. ბერიშვილი (18), ხოშტარია (16), კეიდია, ბაბიაშვილი (33), როდუმტა (1); ნიკოლაძე (14), ნინიაშვილი (15), სუხიშვილი (1), ბარბაქაძე (6)
მაკაბი: დოლიძე (10), კორკოტაძე (10), პირველაშვილი (10), ს. შერმადინი (7), გ. შერმადინი (46); ვაშაკიძე (7), ბარსეგიანი (3)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი



**საქართველოს** თასის გათამაშება საინტერესოდ დაიწყო. გუშინ ისეთი რამ მოხდა, ქართულ კალათბურთში ანალოგს რომ ძნელად მოუძებნი. ვერის ბაღში შეკრებილი სტაჟიანი გულშემატკივარი ვერ იხსენებდა და არც გვგონია, ასეთი რამ საბჭოეთის შემდგომ ქართულ კალათბურთში მომხდარიყო — გუნდმა 4 კაცით ჩაამთავრა თამაში.

ეს უიშვიათესი ამბავი „მაკაბი“ — „ავიაშენის“ მატჩში მოხდა. მაკაბელები ამ შეხვედრაში 7 მოთამაშით გამოვიდნენ და როცა თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე გიორგი შერმადინი პერსონალურთა ლიმიტის გამო მოედნიდან იძულებით გავიდა, ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი 4 კაცით დარჩა ჩემპიონ „ავიაშენის“ პირისპირ.

ასეთი იალღიში რომ არ მოსვლოდათ, ვინძლო, მაკაბელებს ემარჯვათ კიდეც — ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტისთვის, როცა შერმადინმა მოედანი დატოვა, „მაკაბი“ 91:90 იგებდა. ხუთი ოთხზე თამაშში, რა თქმა უნდა, სრული შემადგენლობით მყოფმა „ავიაშენმა“ იმარჯვა, თუმცა მორალური გამარჯვება „მაკაბის“ დარჩა, რაკი ეს უკანასკნელი ისედაც განწირულად ჩანდა მატჩამდე და აქამდე რომ მიიყვანა საქმე, გმირობად უნდა ჩაეთვალოს.

მეორე მხრივ, ისაა საკითხავი, 7-კაციანი განაცხადით თამაში შესაძლებელია თუ არა. ევროპაში განაცხადში თუ მოთამაშეთა არასაკმარისი რაოდენობაა, ნაკლულ გუნდს მკაცრი სანქციები ელის. სხვამხრივ, „მაკაბი“ მხოლოდ ქებას იმსახურებს. ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი გიორგი შერმადინის ქებული თამაშის წყალობით ტოლს არაფერში უდებდა მეტოქეს და უმცირესობაში რომ არ დარჩენილიყო, იქნებ სენსაციაც მოეხდინა.

ისე, „მაკაბი“ ის გუნდია, რომელმაც ახლახან გასრულებულ ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე არანაკლებ ანერვიულა მძლავრი თსუ. ბოლო წუთებზე დასანანი შეცდომები რომ არა, ხუხაშვილის გუნდი ამ ტურნირის ფინალის საგზურს მოიპოვებდა.

გუშინდელ მეორე მატჩშიც გვარიანი დაძაბულობა იხილა მაყურებელმა. „დინამომ“ თასის მოქმედ მფლობელ თსუ-ს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და პირველი ტაიმის შემდეგ 18 ქულითაც იგებდა, მაგრამ... ბესიკ ლეჟავამ, თსუ-ს ახალგაზრდა სნაიპერმა, სტუდენტებს გული საგულეში ჩაუყენა, როცა მესამე მეოთხედიდან მიჰყვა და თამაშის ბოლომდე სამქულიანს სამქულიანზე ითვლიდა. საბოლოოდ თსუ-მ 81:76 დაამარცხა შეუპოვარი დინამოელები და დღეს რუსთავის „აზოტს“ ნახევარფინალის ტოლფას მატჩში შეეტოქება.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნიუ ჯერსის ხელი შეაჩვიეს

25 იანვარი

**ჩიკაგო 96:85 დალასი**
ჩიკაგო: გორდონი (30), დენგი (21), ჰაინრიხი (15), ბრაუნი (12), ვოლესი (5 ქულა, 17 მოხსნა, 4 დაფარება)
დალასი: ნოვიცკი (28 ქულა, 11 მოხსნა), სტეკჰაუსი (16), ტერი (12)

**კლიპერსი 102:101 ნიუ ჯერსი**
კლიპერსი: ბრენდი (18), მაგეტი (18), მობლი (17), კასელი (15 ქულა, 10 პასი)
ნიუ ჯერსი: კარტერი (39), ნახბარი (17), უილიამსი (16), კიდი (12)

„ჩიკაგომ“ თავისი დაცვისთვის ახალი ბურჯი იპოვა, ბებერი, მაგრამ გამძლე პიჯეი ბრაუნი და იქნებ სულაც გადაიფიქროს „მემფისიდან“ პაუ გასოლის გადაყვანა. ბრაუნმა ფარქვეშ ცენტრ ბერ ვოლესის გვერდით თავდამსხმელის პოზიცია დაიკავა და სამწამიანი ზონა გვარიანად გაამაგრა.

და აგერ, ამ თითქოს უმნიშვნელო ცვლილების შედეგიც: „ჩიკაგომ“ თვით „დალასი“ დაამარცხა და ზედიზედ რვამოგებიანი სერია შეაწყვეტინა. „დალასის“ წაგორხილება კი მეორე დასავლელ ბობოლას, „ფინიქსს“ წაადგა, რომელიც დასავლეთ კონფერენციაში და, მთლიანად ასოციაციაში დაწინაურდა 34 მოგებით და მხოლოდ 8 წაგებით. „დალასისთვის“ ეს მარცხი კი ამ რეგულარულში მეცხრე გახლდათ.

პიჯეი ბრაუნმა ამ სახელოვან გამარჯვებაში თითქოს არცთუ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, 12 ქულა და 9 მოხსნა სატრაბახო შედეგად არ მოჩანს, მაგრამ დაცვაში კარგად იდგა და გუნდის თამაშს სიმტკიცეს და საიმედოობას მატებდა, ხოლო თავისი 12 ქულიდან 6 ბოლო მეოთხედში გაახერხა, თან ყველა საკვანძო ეპიზოდებში ჩააგდო. „გუნდს მე, ძირითადად, დაცვაში ვჭირდები, ამიტომ 12 ქულა აქ მოსატანიც არაა. ჩემი ძირითადი ამოცანა იყო, დირკ ნოვიცკისთვის მედევნებინა თვალ-ყური მთელი მატჩის განმავლობაში და მისი გაპარპაშება არ დამეშვა.“ საბოლოოდ ნოვიცკიმ კარგად კი ითამაშა, 28 ქულაც მოირეწა, მაგრამ მის თამაშს ფანტასტიკური და „გაპარპაშებული“ ნამდვილად არ ეთქმოდა.

დღის მეორე თამაში მეტად დაძაბული გამოდგა და აქ საბოლოო სხვაობად მხოლოდ ერთი ქულა დაფიქსირდა. „კლიპერსმა“ კუტინო მობლის სირენამდე 0,6 წამით ადრე ჩაგდებულით აჯობა „ნიუ ჯერსის“, რომელსაც ამ ბოლო ხანებში სულ უკუღმა მისდის საქმე — ჯერ ნენად კრსტიჩი გამოაკლდა სეზონის ბოლომდე, შემდეგ რიჩი ჯეფერსონიც დაუშავდა და ბოლოს იდბალმაც ზურგი აქცია. „ნიუ ჯერსიმ“ ზედიზედ მესამე გასვლითი თამაში წააგო ბოლო წამებზე, თან სამივე კალიფორნიელებთან — ორშაბათს საკრამენტოში იქაურმა მაიკ ბიბიმ დამთავრებამდე 10,3 წამით ადრე ჩაუგდო გადამწყვეტი ბურთი, ოთხშაბათს „გოლდენ სტეიტთან“ მონტა ელისმა ზედ სირენასთან ერთად ჩაუკალათა მკვლელი ორქულიანი, ახლა კი კუტინო მობლიმაც ჩაუჭედა ლურსმანი სასახლეში.

**კოტე ყორშია**

# ზაზას რაღა?

**გუშინწინ** ნბა-ში დასრულდა ოლ სტარის სასტარტო ხუთეულების გამოსავლენი გამოკითხვა, რომელშიც ასე აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს ვირტუალური ქსელის ქართული განშტოება. ჩვენებური ზაზა ფაჩულია, საბოლოოდ, მაინც ვერ მოხვდა ყველა ვარსკვლავის მატჩში, მაგრამ საკმაოდ მაღალი შედეგი ჰქონდა ამ გამოკითხვაში — აღმოსავლელ ცენტრებში მან 244 507 ხმით მეექვსე ადგილი დაიკავა შაკილ ონილის, დუაიტ ჰოვარდის, ბენ ვოლესის, ალონზო მურნინგის და ენდრიუ ბოგუტის შემდეგ, რაც მაინც კარგ შედეგად ჩაეთვლება. გულახდილად რომ ვთქვათ, ქართველი ცენტრი ამ ეტაპზე არც იმსახურებდა ნბა-ს უკაშკაშეს ვარსკვლავთა შორის ადგილს, რომელსაც ხშირად მასზე ძლიერი მოთამაშეებიც კი ვერ იკავებენ.



ზაზა ფაჩულია ალბათ უოლსტაროდ დარჩება

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 2 029 591 ხმა |
| ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი) | 1 454 166 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 2 516 049 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 1 091 263 |
| შაკილ ონილი (მაიამი) | 1 622 446 |

| დასავლეთი | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 2 138 777 |
| ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი) | 1 942 796 |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | 1 616 575 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 1 436 584 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 2 451 718 |

*ოლ სტარის დანარჩენ 14 მონაწილეს ერთ კვირაში დაასახელებს ნბა-ს 30 გუნდის 30 მთავარი მწვრთნელი*

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. 24-25 იანვარი

### A ჯგუფი

**დინამო 84:69 ოლიმპიაკოსი**
დინამო: ჰანსენი (27), ფოცისი (13)
ოლიმპიაკოსი: ასკერი (17), ბუდურისი (15)

**კლიმამიო 74:76 ეფესი**
კლიმამიო: ბლუზენტალი (26), იდნი (11)
ეფესი: ჰაისლიპი (17), ჯენკინსი (15)

**ტაუ 76:64 პროკომი**
ტაუ: რაკოჩევიჩი (20), ტელეტოვიჩი (13)
პროკომი: ანდერსენი (15), სლანინა (11)

**ლე მანი 69:60 რეინი**
ლე მანი: კოფი (13), კემპბელი (13)
რეინი: გორტატი (17), მალეტი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 13 | 11 | 2 | +108 | 24 |
| დინამო | 13 | 9 | 4 | +64 | 22 |
| ოლიმპიაკოსი | 13 | 9 | 4 | +49 | 22 |
| ეფესი | 13 | 8 | 5 | +54 | 21 |
| პროკომი | 13 | 5 | 8 | +36 | 18 |
| კლიმამიო | 13 | 4 | 9 | -67 | 17 |
| ლე მანი | 13 | 4 | 9 | -24 | 17 |
| რეინი | 13 | 2 | 11 | -148 | 15 |

### B ჯგუფი

**უნიკახა 68:66 რომა**
უნიკახა: სანტიაგო (13), ველში (12)
რომა: ბოდიროგა (17), ჰოკინსი (15)

**პანათინაიკოსი 80:93 პარტიზანი**
პანათინაიკოსი: დელკი (23), ბეჩიროვიჩი (16)
პარტიზანი: პეროვიჩი (19), კამინგსი (16)

**ოლიმპია 77:75 მაკაბი**
ოლიმპია: ლორბეკი (17), მარკოიშვილი (36 წუთი, 13 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა)
მაკაბი: შარპი (18), ვუიჩიჩი (13)

**ციბონა 77:74 ხუვენტუდი**
ციბონა: კუში (23), უორენი (19)
ხუვენტუდი: ფერნანდესი (16), არჩიბალდი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 13 | 11 | 2 | +95 | 24 |
| მაკაბი | 13 | 7 | 6 | +50 | 20 |
| ხუვენტუდი | 13 | 7 | 6 | +67 | 20 |
| პარტიზანი | 13 | 6 | 7 | +11 | 18 |
| ციბონა | 13 | 6 | 7 | -5 | 19 |
| უნიკახა | 13 | 6 | 7 | -88 | 19 |
| რომა | 13 | 5 | 8 | -40 | 18 |
| ოლიმპია | 13 | 4 | 9 | -90 | 17 |

### C ჯგუფი

**ჟალგირისი 77:66 არისი**
ჟალგირისი: მასიულისი (16), ბერდი (12)
არისი: ვილკინსონი (18), მესი (17)

**ბარსელონა 70:78 ცსკა**
*ძირითადი დრო: 65:65*
ბარსელონა: ლაკოვიჩი (13), ნავარო (11)
ცსკა: ჰოლდენი (18), პაპადოპულოსი (14)

**ფენერბაჰჩე 88:93 ნაპოლი**
ფენერბაჰჩე: ქუთლუაი (17), კამბალა (14)
ნაპოლი: ელისი (37 წუთი, 29 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა)

**ბენეტონი 87:66 პო ორტეზი**
ბენეტონი: ლიდეი (31), ზისისი (11)
პო ორტეზი: რაიტი (14), სანდერსი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 13 | 12 | 1 | +148 | 25 |
| ბარსელონა | 13 | 8 | 5 | +54 | 21 |
| ბენეტონი | 13 | 7 | 6 | +30 | 20 |
| პო ორტეზი | 13 | 6 | 7 | -23 | 19 |
| არისი | 13 | 6 | 7 | -35 | 19 |
| ნაპოლი | 13 | 6 | 7 | -59 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 13 | 5 | 8 | -25 | 18 |
| ჟალგირისი | 13 | 2 | 11 | -90 | 15 |

რაგბი

# სათადარიგოთა შანსი: ომი რუმინეთთან

**3 თებერვალს** საქართველოს ნაკრები ბუქარესტში რუმინეთთან საერთაშორისო მატჩით წლევანდელ სეზონს რომ იწყებს, ძველი ამბავია. ისიც გამცნეთ, რომ საამმატჩოდ ჩვენებს ძირითადი რაზმელები — გოდერძი შველიძე, მამუკა გორგოძე, რატი ურუშაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი და ბესიკ ხამაშურიძე დააკლდებიან. რადგან წლევანდელი ერთი თასი ბევრს არაფერს წყვეტს და ქართველი „ლელოები“ უკვე გავიდნენ მსოფლიოს თასზე, ჩვენების სამწვრთნელო შტაბმა ფრანგული კლუბების თხოვნა გაითვალისწინა და პრინციპული მატჩებისთვის ურუშაძე, ხამაშურიძე და ურჯუკაშვილი კლუბებს დაუთმო. გოდერძი შველიძეს სავიზო პრობლემები აქვს, ხოლო მამუკა გორგოძე ტრავმირებულია.

გუშინ ჩვენი რაგბის კავშირში რუმინეთთან მატჩისწინა პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი პაატა ნარიმანაშვილი ესაუბრა. რაკი სხვა მწვრთნელები — მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი ორი თვეა, საფრანგეთში არიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

*პაატა ნარიმანაშვილი:* „მართალია, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბე არ გვეყოლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუმინეთთან წინასწარ ვართ განწირულები. ცხადია, რუმინეთთან მოგება, თანაც სტუმრად, ძალიან ძნელია, მაგრამ ამჯერად ჩვენ ბიჭებსაც აქვთ მოტივაცია. ჯერ ერთი, მოგებული ჩვენ შორის საცილო ანთიმოზ ივერიელის თასს დაეუფლება და მეორე, სათადარიგო მოთამაშეებს ეძლევათ შანსი, თავიანთი სიძლიერე დაამტკიცონ — ნაკრებში და ადგილი დაიმკვიდრონ. ერთიც, რა შემადგენლობაც არ უნდა გვყავდეს, რაგბის ნახევარი ძალით თამაში არ შეიძლება და მჯერა, ამ კონტიგენტითაც შევძლებთ, რუმინეთს ომი გავუმართოთ“.

რუმინეთ-საქართველოს მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია „მზე“ გადმოსცემს. ბოლოს კი ერთხელაც შეგახსენებთ ჩვენების სარუმინეთო შემადგენლობას:

შერკინება: დავით ზერაქაშვილი, დავით ხინჩაგაშვილი, დავით გასვიანი, აქვსენტი გიორგაძე, ავთანდილ კოპალიანი, ილია ზედგინიძე, ვიქტორ დიდებულიძე, ლევან დათუნაშვილი, ილია მაისურაძე, გია ლაბაძე, ბესიკ უდესიანი, გიორგი ჩხაიძე.

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი გიორგაძე, რევაზ გიგაური, დავით კაჭარავა, ირაკლი მაჩხანელი, გიორგი ელიზბარაშვილი, გიორგი შკინინი, მერაბ კვირიკაშვილი.

საქართველოს ნაკრები ბუქარესტში 29 იანვარს ჩავა.

**ბაჩო სვანიძე**

ძიუდო

# თბილისში მსოფლიოს ტატამი იშლება



**დღეს** თბილისში ორდღიანი მსოფლიოს თასით ძიუდოს საერთაშორისო სეზონი იხსნება. ეს სახელი ქართულმა ტურნირმა ევროფედერაციისგან ორიოდ წლის წინ მიიღო. იქამდე თბილისის საერთაშორისო ტურნირად მოიხსენიებოდა. ისტორია კი 1970 წელს დაიწყო. მას შემდეგ ოცდაცამეტი შეჯიბრი ჩატარდა და ქართულ ტატამზე მსოფლიოს ძიუდოს არაერთმა ვარსკვლავმა იჭიდავა. მიზეზთა გამო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უხვსტუმრიანობამ იკლო. უძლიერესი ნაკრებები გვერიდებოდნენ, ან თუ ჩამოდიოდნენ, არცთუ საუკეთესო შემადგენლობით. 1993 წლიდან 1997-მდე და 2001 წელს ტურნირი არც ჩატარებულა. ბოლო წლებში კი ძალას თავიდან იკრებს.

წლევანდელ მსოფლიოს თასზე ცხრამეტი ქვეყანა გამოვა. მათგან ორი — შვეიცარია და ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ მსაჯებით იქნება წარმოდგენილი. თექვსმეტმა ნაკრებმა შემადგენლობაც წინასწარ გამოგზავნა. ამ განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, სპორტის სასახლეში საინტერესო ბრძოლები უნდა გაიმართოს. იაპონიისა და რუსეთის გუნდები მეორე-მესამე ნომრების დაყენებას აპირებენ. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები სულაც ორი შემადგენლობით ჩამოვიდნენ, ისევე, როგორც დელეგაციათა უმეტესობა. ერთადერთი ნაკრები კი, რომლის შემადგენლობაც გუშინდლამდე უცნობი იყო, საფრანგეთია.

აქვე უცხოურ განაცხადებში შეყვანილ ტიტულებიან ძიუდოისტებზეც ვთქვათ. მსოფლიოს თასზე მოჭიდავეთა წინასწარ სიაში არიან: ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი, სერბი რიუ მიალკოვიჩი (100 კგ), მედალუხვი ებრაელი არიელ ზეევი (100 კგ), აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი მოვლუდ მირალიევი (100 კგ), სომეხი ევროპის ჩემპიონი არმენ ნაზარიანი (60 კგ), შარშანდელი ევროპირველობის ესტონელი პრიზიორები კინტერ როტბერგი (66 კგ) და მარტინ პადარი (+100 კგ), რუსეთის სახელით ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი ერეკლე კოპალიანი (81 კგ) და სხვები.

წლეულს, გაზაფხულიდან, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების გათამაშება იწყება და თბილისის ტურნირი, ძირითადად, ამ ციკლისთვის მოსამზადებელ პირველ ეტაპად მიიჩნევა. საქართველოს ნაკრების ბირთვი ერთი თვის წინ, შიდა ჩემპიონატზე გამოიკვეთა. მსოფლიოს თასზე შოთა ხაბარელი თითო წონაში ოთხ რჩეულს დააყენებს. სალიცენზიო გუნდში კი ადგილს, სავარაუდოდ, საუკეთესოები გაინაღდებენ.

თბილისის მსოფლიოს თასს ევროკალენდარში პარიზის მსოფლიოს სუპერთასი მოსდევს. ამ ორ ტურნირს შორის ორკვირიანი შუალედია და ჩამოსულ ნაკრებთა უმეტესობას მისი თბილისში გატარება სურდა. საქართველოს ნაკრებთან ერთად ვარჯიშის იდეა თავიდან იაპონელებიდან წამოსულა, მაგრამ ჩვენი ფედერაციისგან მათაც და სხვა მსურველებსაც უარი მიუღიათ. შოთა ხაბარელის გუნდი ინდივიდუალური გრაფიკით ემზადება, ერთობლივი შეკრება კი მხოლოდ პარიზული ტურნირის შემდეგაა დაგეგმილი.

ბოლოს ერთი საინტერესო ამბავიც. მსოფლიოს თასს ოთხი ბელგიელი ჟურნალისტიც ესტუმრება. მათი ვიზიტის მიზეზი ლეგენდარული ჰოლანდიელი ძიუდოისტი რობერ ვან დერ ვალეა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ თემურ ხუბულურის უმთავრეს მეტოქეზე დოკუმენტურ ფილმს იღებენ და აბა, ამ ოქროს კონკურენციას როგორ აუვლიდნენ გვერდს. თავად ხუბულური კი თბილისის მსოფლიოს თასის მთავარი მსაჯია.

დღეს ტატამზე 60, 66 და 73 კილოგრამიანები გავლენ. წინასწარი შეხვედრები დილიდან დაიწყება. ფინალურები — საღამოს ექვსი საათისთვის. დანარჩენი ოთხი წონის ჩემპიონ-პრიზიორები კი ხვალ გაირკვევა.

**ოთარ გაღლაძელიძე**

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა 2007. მელბურნი
15-28 იანვარი. საპრიზო 20 000 000 $



AFP

# საუკეთესო გონსალესის ფავორიტი ფედერერია

26 იანვარი

**კაცები**

**ნახევარფინალი**

**ფერნანდო გონსალესი (10, ჩილე) — ტომი ჰაასი (12, გერმანია) 6:1 6:3 6:1**

**წლევანდელი** ავსტრალიის ღია პირველობის კაცთა ტურნირის ორივე ნახევარფინალი აბსურდამდე უცნაური გამოვიდა — ასეთ ეტაპზე, როგორც წესი, ყველა დაძაბულ, საინტერესო ორთაბრძოლებს ელის, მაგრამ რაც ჩვენ მელბურნ-პარკის კორტებზე ვნახეთ... ორივე შეხვედრა უფროსების მიერ პატარა ბავშვების დასჯას, კუთხეში დაყენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სლემტურნირის ფინალში გასასვლელად შემართული მებრძოლების ჯახს.

როჯერ ფედერერის მიერ ენდი როდიკის გასილაქების შემდეგ ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ კიდევ შეიძლებოდა რომელიმე ჩოგბურთელის ასეთი ყოვლისმომცველი უპირატესობა გვენახა, მაგრამ... გუშინ ფერნანდო გონსალესმა ყველანაირ წარმოდგენას გადააჭარბა და ტომი ჰაასის დასამარცხებლად სამი სეტი და საათნახევარი იმყოფინა.

ჩილელმა სასტიკად დაჩაგრა თავისი მეტოქე — უკანა ხაზიდან ხომ თავიდანვე ერთი თავით სჯობდა. აქ ისევ სამხრეთამერიკელის ფორჰენდია აღსანიშნავი, რომელსაც ჰაასამდე ვერც რაფაელ ნადალმა და ჯეიმს ბლეიკმა მოუხერხეს რამე.

გერმანელმა მეორე სეტში ტაქტიკა შეცვალა და ბადესთან ხშირი გასვლებით სცადა ჩილელის დაბნევა. გონსალესმა ამის წამალიც მალე იპოვა და მეტოქეს თამაშის სურვილიც მოუსპო. ჰაასს ვერც ძლიერმა მოწოდებებმა უშველა — გერმანელი დიდწილად ამით გავიდა ფონს დავიდ ნალბანდიანსა და ნიკოლაი დავიდენკოსთან, მაგრამ ვერც გერმანულმა არტილერიამ შეაშინა გონსალესი, რომელმაც მატჩში შვიდი ბრეიკი გააკეთა. სამაგიეროდ, ჰაასს მეტოქის მოწოდების აღება კი არა, მთელი შეხვედრის განმავლობაში კინკილა ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. შედეგად სამხრეთამერიკელმა მხოლოდ ოთხი გეიმი დაანება მეტოქეს და ასე შეგრიალდა ფინალში.

„უკანასკნელი სამი-ოთხი შეხვედრა მართლა ნორმალურად ვითამაშე. დღესაც არა მიშავდა. ფინალში გასვლა დიდი წარმატებაა ჩემთვის“ — ასე თავმდაბლობდა ნამატჩევს გონსალესი.

გონსალესის ასეთი ტრიუმფალური სვლა. მოულოდნელი იყო ჩილელს აქამდეც ჰქონდა არატიპური სამხრეთამერიკელის, ანუ ჰარდზე ნორმალურად მოთამაშის სახელი დაგდებული, მაგრამ აქამდე სეზონის დასაწყისში კარგად არასოდეს უჩოგნავია — ძირითადად წლის ბოლოსკენ გამოიდებდა ხოლმე თავს. ბოლო დღეებში კი გონსალესმა ფანტასტიკურად ითამაშა და ფინალშიც ღირსეულად გავიდა. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც რამდენს სჯერა, რომ ჩილელს რეალურად შეუძლია ფედერერის დამარცხება? ნახევარფინალის წინ ხომ როდიკზეც ამბობდნენ, დიდებულ ფორმაშია და ან ახლა უნდა მოუგოს შვეიცარიელს, ან არასდროსო — შედეგი კი ყველამ ნახა. სწორედ ამიტომაც თითქმის აღარავის სჯერა, რომ ჩილელს „მხიარული როჯერის“ წაქცევა შეუძლია.

ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ თვით გონსალესიც ასე ფიქრობს და, შეიძლება ითქვას, ფინალს ყურებჩამოყრილი ხვდება:

„როჯერი უდავო ნომერ პირველი ჩოგბურთელია და კვირასაც ფავორიტი იქნება. მაგრამ მცდელობას ჯერ არავინ მოუკლავს და მეც ვცდი, ერთი მატჩის მოგება ხომ ნებისმიერს შეუძლია, მით უმეტეს, რომ წლეულს ძალიან მოვუმატე“ — ეს კი თქვა გონსალესმა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამისი თვითონაც არ სჯერა.

პრინციპში ჩილელს პესიმიზმის სერიოზული საფუძველი აქვს. გონსალესი აქამდე ცხრაჯერ შეხვდა ფედერერს და ცხრაჯერვე გამარჯვება შვეიცარიელს დარჩა — თანაც სამხრეთამერიკელს ერთი სეტიც არ მოუგია. ჰოდა, ვილას უკვირს, რომ ფინალის წინ გონსალესი მთლად იმედიანად ვერ არის.

**ბაჩა ლომაშვილი**




AFP

# ფიზიკელას ბოლო შანსი

ერთკვირიანი პაუზის შემდეგ განახლდა საპირველფორმულო გუნდების საპრეზენტაციო სერია. საზოგადოების სამსჯავროზე ბოლიდები წარადგინეს „რენომ", „ჰონდამ" და „რედ ბულმა".

ბოლო ორი სეზონის აბსოლუტურმა ტრიუმფატორმა რენოელებმა სიახლე ტრადიციულად საფრანგეთში კი არა, ამჯერად ამსტერდამში, თავიანთი ახალი გენერალური სპონსორის, ჰოლანდიური სუპერკონცერნის, ფინანსურ ჯგუფ ING-ის ტერიტორიაზე წარმოაჩინეს.

ცამეტწლიანი თანამშრომლობის შემდეგ ავტოასპარეზი დატოვა მეთამბაქოე გიგანტმა „მაილდ სევენმა", ამდენად, შეიცვალა „რენოს" ბოლიდების ცისფერი შეფერილობა და ამიერიდან ლურჯ-ფორთოხლისფერი იქნება.

ცხადია, „რომბიანებს" უდიდესი ძალა მოაკლდათ ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს „მაკლარენში" გადასვლით. მისი ადგილი საჯინიბოს ტესტ-მძღოლმა ჰეიკი კოვალაინენმა დაიკავა. 22 წლის ფინელისთვის დამდეგი სეზონი „სამეფო რბოლებში" სადებიუტო იქნება, გუნდის მთავარ ძალად კი ვეტერანი იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელა მოგვევლინება. 33 წლის რომაელი ამჯერად განსაკუთრებულადაა სატიტულოდ მოწადინებული:

„ახალ სეზონს მოუთმენლად ველი. ჩვენ გვაქვს კონკურენტუნარიანი მანქანა და აგრეთვე დიდი მოტივაცია, რომ ზედიზედ მესამედ მოვიგოთ ტიტული. ყოველ რბოლაში მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძოლებ, თუმცა საწყენია, რომ ჩემი მთავარი მოწინააღმდეგე ყოფილი თანაგუნდელი, ფერნანდო იქნება. ისე, გვინდა დავამტკიცოთ, რომ გამარჯვება ალონსოს გარეშეც შეგვიძლია".

ცნობისთვის, გუნდის ბოსობამ იტალიელს ბოლო შანსი მისცა, თუკი ჯანკარლო წლეულს სატიტულოდ ბრძოლას ვერ შეძლებს, გამოდის, რომ ამას საერთოდ ვერ მოახერხებსო. ასე რომ...

ცხადია, რენოელებზე გაცილებით მოკრძალებული მიზან-ამოცანები ამოძრავებთ ჰონდელებს, ჩვენთვის მთავარია, საპრიზო სამეულისთვის ვიბრძოლოთო.

„ჰონდა" ერთადერთია საფორმულო გუნდებიდან, ვინც შარშანდელი შემადგენლობა შეინარჩუნა. კვლავ მწყობრში არიან 34 წლის რუბენს ბარიკელო და 26 წლის ჯენსონ ბატონი, რომელმაც შარშან პირველი გამარჯვება მოუპოვა იაპონურ სუპერკონცერნს.

„ჰონდა RA 107"-ის პრეზენტაცია ბარსელონაში, კატალუნია-მონტმელოს ავტოდრომზე მოკრძალებულ ვითარებაში შედგა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საჯინიბო შარშანდელ მეოთხე ადგილზე მეტს უმიზნებს.

დაბოლოს, „რედ ბული", გუნდი-აუტსაიდერი, რომელმაც ახალი მანქანა იქვე, ბარსელონაში წარმოადგინა. ბუნებრივია, წითელი ხარებიც საამსეზონოდ იმედიანად არიან, მანქანა გავაუმჯობესეთო და ასე შემდეგ...

ვნახოთ, რას შეძლებენ სადღეისოდ ყველაზე ხნოვანი მეფორმულე, 36 წლის დევიდ კულჰარდი და ავსტრალიელი მარკ ვებერი.

**გია ახალაძე**



# აუცილებელი მინიმუმი: 7 მილიონი

**შარშან** აგვისტოში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კალათბურთელებს დაჰპირდა, მომავალ შემოდგომაზე ევროსაკვალიფიკაციო მატჩებს განახლებულ, სრულიად კეთილმოწყობილ სპორტის სასახლეში უმასპინძლებთო. სიტყვა საქმედ იქცა და ახლახან თბილისის მერიამ ტენდერი გამოაცხადა, სპორტის სასახლე გასაყიდად გამოიტანა.

ვისაც ამ სპორტული ნაგებობის შეძენა სურს, გარკვეული თანხა ხომ უნდა გადაიხადოს და მინიმუმ 7 მილიონი დოლარი უნდა დაახარჯოს ქვეყნის უმთავრესი სპორტული დარბაზის გარემონტებას. თანაც კეთილმოწყობა აგვისტომდე უნდა მიესწროს, რათა საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა თავის უმთავრეს კონკურენტ ფინეთს განახლებულ დარბაზში უმასპინძლოს.

მსურველები უკვე გამოჩნდნენ და თუ ვინ იკისრებს სპორტის სასახლის გარემონტება-მფლობელობას, უახლოეს ხანებში გამოჩნდება.

## მთის თხილამურობა

# მსოფლიოს თასი

სესტრიერე (იტალია). 26 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა




რენატე გიოტჩლი

AFP სურათი

## ქალები. სუპერგიგანტი

| | |
|---|---|
| 1 რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1წთ, 24,90წმ |
| 2 ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1.24,99 |
| 3 კრისტინ შპონრინგი (ავსტრია) | 1.25,80 |
| 4 ბრიტ იანიკი (კანადა) | 1.25,83 |
| 5 კელი ვანდერბიკი (კანადა) | 1.25,84 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 მარლიზ შილდი (ავსტრია) | 894 ქულა |
| 2 ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 852 |
| 3 ჯულია მანკუზო (აშშ) | 826 |
| 4 რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 821 |
| 5 ლინდსი კილდოუ (აშშ) | 658 |

## ფიგურული სრიალი

# ევროპის ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 23 – 28 იანვარი

## კაცები

| | |
|---|---|
| 1. ბრაიან ჟუბერი (საფრანგეთი) | 227,12 |
| 2. ტომაშ ვერნერი (ჩეხეთი) | 212,69 |
| 3. კევინ ვან დერ პერენი (ბელგია) | 204,85 |

## ფეხბურთი

### ინგლისი

პირველი ლიგა. XXX ტური

ჯილინგემი 2:0 ტრანმერი

მეორე ლიგა. XXX ტური

ტორკი 4:1 გრიმსბი

### გერმანია

ბუნდესლიგა. XVIII ტური

დორტმუნდი 3:2 ბაიერნი

მეორე ბუნდესლიგა. XIX ტური

ბრაუნშვაიგი 1:0 კარლ ცაისი

ბურგჰაუზენი 1:3 კიოლნი

### იტალია

სერია B. XXI ტური

პესკარა 2:1 ლეჩე

### პორტუგალია

სუპერლიგა. XVI ტური

ლეირია 1:0 პორტუ

### ბელგია

იუპილერლიგა. XIX ტური

შარლერუა 2:5 სტანდარდი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXII ტური

ჰერენვენი 5:1 ჰერაკლესი

მეორე დივიზიონი. XXV ტური

კამბური 2:1 ოსი

დორდრეხტი 4:1 აპელდორნი

ალმერე 2:3 ვენლო

ზვოლე 4:1 ეინდჰოვენი

სიტარდი 0:0 მაასტრიხტი

ჰელმონდი 1:1 ვოლენდამი

ტელსტარი 0:0 გრააფსხაპი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი. XXII ტური

აიაჩო 0:1 ტურსი

ბრესტი 3:1 ბასტია

გრენობლი 0:1 შატორუ

გენიონი 1:1 კრეტეი

ისტრი 1:2 მონპელიე

რეიმსი 1:0 დიჟონი

სტრასბური 1:0 ნიორი

კაენი 3:1 ამიენი

ლიბურნი — მეცი გადაიდო

### თურქეთი

სუპერლიგა. XVIII ტური

ერჩიესი 1:1 ფენერბაჰჩე

### დსთ-ის ჩემპიონთა თასი 2007

ნახევარფინალი

შერიფი (მოლდოვა) 0:1 ფახთაქორი (უზბეკეთი)

ცსკა (რუსეთი) 0:1 ვენტსპილსი (ლატვია)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge